ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 8 ნოემბერი 2002 №213 (1735) | ფასი 50 თეთრი


# ოსები დემეტრაძეს ბასკებს გადასცემენ
# გიგიაძე კიევში მოკლეზე გადავა
# სირაძე გამოცდას ბიბას ჩააბარებს



ვასილ გიგიაძე



დავით სირაძე



გიორგი დემეტრაძე

სულ მალე, ალბათ, რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის რიგიან კლუბებში გადასვლის თაობაზე გაუწყებთ. ახლა კი მათ სადღეისო მდგომარეობაზე ვთქვათ.

გიორგი დემეტრაძეს „ალანიაში" ათი დღელა დარჩა და „რეალ სოსიედადში" უნდა დაბრუნდეს — იქ, საიდანაც მოსკოვის „ლოკომოტივის" გავლით ოსურ კლუბში მოხვდა. სან სებასტიანიდან კი რამდენიმე გზა მოჩანს: ერთი უკან, ვლადიკავკაზში ბრუნდება, მეორე ბელგიურ ბრიუგეში მიდის, მესამეს ინგლისში მივყევართ, ოღონდ ზუსტი ადგილი ჯერ უცნობია. ისე, ვინძლო დემეტრაძე სან სებასტიანშივე დარჩეს, ამ გზებიდან ყველაზე უხეირო ხომ ვლადიკავკაზისაა.

თბილისის ლოკომოტიველ დავით სირაძის და სიმფეროპოლელ ვასილ გიგიაძის გზები ეგებ კიევში შეერთდეს. იქაური „დინამო"კი, მოგეხსენებათ, ევროპაში გადასასვლელი ბორანია.

ზეგ ვაკის პარკში „ლოკომოტივი" „დინამოს" მასპინძლობს და კიეველთა სელექციონერი ანდრეი ბიბა ამ მატჩზე საგანგებოდ სირაძის სანახავად ჩამოდის. რატომაც არა, დავითი ეროვნულ ჩემპიონატში საუკეთესო მოთავურედ ითვლება.

ვასილ გიგიაძე კი მეტად გადაზრდილა „ტავრიასთვის", რასაც სიმფეროპოლელებიც ხვდებიან და მის სარფიანად გაყიდვას ლამობენ. კიევის „დინამო" ქართველის მოსურნე რამდენიმე კლუბს შორისაა და მეტადაც აქტიურობს.

ეს ტრანსფერები თუ გაიჩარხა, ხომ კარგი — ვალერი ლობანოვსკი ცოცხალი აღარაა, მაგრამ კიევური სკოლა ქართველთათვის კარგ სკოლად უნდა ჩაითვალოს.



იუდით პოლგარი

# ქართველ ქალებს ვიეტნამის სინდრომი შემპარათ
## იუდით პოლგარი: სწორია!
## ლეკვი ლომისა სწორია

ოთხი წლის წინ, ეს დრო იყო, შემოდგომა, ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჩვენმა ქალებმა 0:3 წააგეს ვიეტნამელებთან, გუნდთან, რომელთანაც ნახევარი ქულის დაკარგვაც კი წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. უფალო, შეგვიწყალე ასეთი ამბებისგანო, ვწერდით მაშინ.

გამოხდა ოთხი წელი და ბლედის ოლიმპიადაზე ჩვენი ქალები გუშინ ისევ ვიეტნამელებს გადაეყარნენ და ისევ დამარცხდნენ — მაია ჩიბურდანიძე და ნინო ხურციძე მეტოქეთ დაუზავდნენ, ნანა იოსელიანმა კი წააგო.

ვიეტნამელებთან მარცხმა, ცხადია, ახლაც დაგვალონა, მაგრამ მაშინდელივით წარმოუდგენლად აღარ მოგვეჩვენება, რაკი ჩვენი ქალები ისე ვეღარ ყოჩაღობენ, როგორც უწინ.

არადა, გახსოვთ, რა იყო ქართული ქალთა ჭადრაკი? რა დაგავიწყებდათ — ის სახელობა გახლდათ, სანერვიულო რომ არაფერი გვქონდა და წარმოუდგენელიც სწორედ ის იყო, ტიტულ-ჯილდოები უცხოტომელს წაეღო. ჰოდა, ეს რომ გვახსოვს, იმიტომაც გვეჩოთირება სხვებთან თუნდაც მცირედი ჩამორჩენა.

ვიეტნამთან წაგებამ ისიც მოიტანა, რომ ჩვენს ქალებს ლიდერობის ჩინელთათვის დათმობა მოუხდათ, თუმცა ქულებით ჯერჯერობით თანაბრად ვართ. ზურგს უკან კი რუსთა სუნთქვა ისმის — ნახევარი ქულით ჩამოგვრჩებიან.

ორი ტურის წინ ჩვენები ჩინელებს მთელი ორნახევარი ქულით უსწრებდნენ და საკვირველიც სწორედ ეგაა, ჭადრაკისთვის გვარიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა როგორ გაქრა.

ქართველი ვაჟები კი მეოთხე ადგილზე არიან, რაც მათთვის ურიგო კი არა, კარგი შედეგია, თუმცა გუშინ უნგრელებთან დამარცხდნენ. სამ დაფაზე ჩვენებმა იყაიმეს და მატჩის ბედი მეორე დაფაზე ბაადურ ჯობავას წაფორხილებამ გადაწყვიტა. მისი მეტოქე ქალთამოძულე ქალი იუდით პოლგარი იყო.

ოლიმპიადის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა — რა ცოტა დრო და რამხელა დაკარგული უპირატესობა.

## ჭადრაკი

### მსოფლიო ოლიმპიადა. ბლედი (სლოვენია)

მე-12 ტური

**ვაჟები**

საქართველო — უნგრეთი 1,5:2,5 (ზურაბ სტურუა — პეტერ ლეკო 0,5:0,5, ბადურ ჯობავა — იუდით პოლგარი 0:1, ზვიად იზორია — ზოლტან ალმაში 0,5:0,5, მერაბ გაგუნაშვილი — პეტერ აქსი 0,5:0,5,); რუსეთი — ხორვატია 2,5:1,5; ჩინეთი — ინგლისი 2,5:1,5; უკრაინა — სომხეთი 1:3; კანადა — პოლონეთი 2:2; სლოვაკეთი — ისრაელი 1:3; ესპანეთი — ჰოლანდია 1,5:2,5; საფრანგეთი — ინდოეთი 2:2; იუგოსლავია — ბოსნია 2,5:1,5

**ქალები**

საქართველო — ვიეტნამი 1:2 (მაია ჩიბურდანიძე — ჰოანგ ტრანგი 0:5:0,5, ნანა იოსელიანი — ლე კიმი 0:1, ნინო ხურციძე — ნგუენ ანი 0,5:0,5); სომხეთი — ჩინეთი 1,5:1,5; უნგრეთი — რუსეთი 2,5:0,5; აშშ — ბულგარეთი 1:2; პოლონეთი — იუგოსლავია 1,5:1,5; აზერბაიჯანი — რუმინეთი 1,5:1,5, უზბეკეთი — უკრაინა 0:3; სლოვაკეთი — ჰოლანდია 2,5:0,5; კუბა — ჩეხეთი 1,5:1,5; ინდოეთი — გერმანია 2:1; ყაზახეთი — ისრაელი 1,5:1,5; ინგლისი — კანადა 3:0; მოლდოვა — ესპანეთი 1,5:1,5; ირანი — ლიტვა 1,5:1,5

### სატურნირო ვითარება

**ვაჟები**

1. რუსეთი (34,5 ქულა) 2. უნგრეთი (32,5) 3. სომხეთი (30) 4. საქართველო (29,5) 5. ჩინეთი (29,5) 6. ისრაელი (29,5) 7. პოლონეთი (29) 8. ინგლისი (29) 9. ხორვატია (29) 10. იუგოსლავია (29)

**ქალები**

1. ჩინეთი (25,5) 2. საქართველო (25,5) 3. რუსეთი (25) 4. პოლონეთი (23) 5. ვიეტნამი (23) 6. სომხეთი (22,5) 7. აშშ (22) 8. ბულგარეთი (22) 9. უკრაინა (22) 10. ინდოეთი (21,5)

## ფეხბურთი

### უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP

მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩი

ჰერტა (გერმანია) 4:0 აპოელი (კვიპროსი) (1:0)

1:0 პრეეტი (8), 2:0 მარსელინო (13), 3:0 ბაინლიხი (60), 4:0 ლუიზაო (66)

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი

XIV ტური

აიაჩო 1:0 ოსერი

ლე ავრი 1:2 ლიონი

### პოლონეთი

XIII ტური

ოსტროვეცი 2:1 პოლონია

### შოტლანდია

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

დანფერმლაინი 0:1 რეინჯერსი

### იტალია

სერია B

I გადადებული ტური

სამპდორია 2:0 ლივორნო

### ესპანეთი

თასის 1/16 ფინალი

ნუმანსია 1:0 სელტა



REUTERS ბერლინიდან

ჰერტა — ჰაპოელი. არნე ფრიდრიხმა რომაკ ხაჩატრიანი ბურთს არ გაეკარა

## კალათბურთი

### ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტური. 7 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ალბა 84:70 ციბონა

ბარსელონა 86:85 ბენეტონი

**B ჯგუფი**

ოლიმპია 81:76 მაკაბი

**C ჯგუფი**

ულკერი 105:78 კინდერი

ცსკა 90:75 რეალი

ოლიმპიაკოსი 83:77 ვილერბანი

## ფეხბურთი

# დეკანოსიძე დაბრუნდა და დაბრუნებას აპირებს



იძულებითი შესვენების მერე გიორგი დეკანოსიძემ (მარცხნივ) „ფიურტში" ვარჯიში განაახლა

**იმედიანად** დაიწყო სეზონი ფიურტელმა გიორგი დეკანოსიძემ. წინასასეზონო შეკრებაზე ჩვენებურს მთავარი მწვრთნელი ეუგენ ჰახიც ენდობოდა და თითქმის ყველა ამხანაგურ მატჩში ათამაშა. თუმც ჩემპიონატი „ფიურტმა" მაინც ქართველი გამთამაშებლის გარეშე დაიწყო. დეკანოსიძეს თავიდან ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდა, მერე კი ვარჯიშზე ფეხი იტკინა და რამდენიმე დღე გაუცდა.

ახალ სეზონში გიორგი დეკანოსიძემ „ფიურტში" მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა და ისიც გერმანიის თასზე.

ოქტომბრის დასაწყისში კი ჩვენებური საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე დროულად გამოცხადდა და რუს თანატოლებთან სათამაშოდაც ემზადებოდა, მაგრამ თავს ოჯახური ტრაგედია დაატყდა — გიორგის მამა გარდაეცვალა.

— გერმანიაში ჩამოსვლა დამიგვიანდა. იცით ალბათ, მამა გარდამეცვალა და კლუბს მხოლოდ ორიოდ კვირაა, რაც შევუერთდი. საკმაო დრო გამიცდა. თავიდან ნაღდად გამიჭირდა, მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობ. სარეზერვო გუნდში კი სისტემატურად ვთამაშობ. იმედი მაქვს, მალე ძირითად შემადგენლობაშიც დავბრუნდები — გვითხრა გუშინ გიორგი დეკანოსიძემ სატელეფონო საუბრისას.

**კახა ზალამბერიძე**

# დათვაძე სიონს წამოეწია
## ჰამლეტი კი ჯერაც ელის

**რამდენიმე დღეა**, ბოლნისის „სიონის" ნახევარმცველმა დავით დათვაძემ ვარჯიში განაახლა და უახლოეს ტურებში ეგებ გუნდსაც დაეხმაროს.

შეგახსენებთ, დავით დათვაძეს უკვე სამი თვეა, ბურთისთვის ფეხი არ დაუკარებია. ჩია ტანის ნახევარმცველი ბოლნისელებმა სეზონის წინ თბილისის „ლოკომოტივიდან" გადაიბირეს იჯარის წესით. პირველ ტურში ბათუმში ითამაშა კიდეც „სიონის" შემადგენლობაში. მერე 9 აგვისტოს გორის „დილასთანაც" ენდო მას თემურ მახარაძე, თუმც შუა თამაშში დათვაძე მუხლმა შეაწუხა და შესაცვლელი შეიქნა.

ექიმების დიაგნოზი ასეთი იყო — ფეხბურთელს მენისკი ჰქონდა დაზიანებული და ოპერაციასაც ვერ გადაურჩა.

მას შემდეგ გვარიანი დრო გავიდა. ბოლნისის „სიონმაც" სეზონის წინ დასახულ გეგმას — ზემო ექვსეულში დამკვიდრებას ფრთები თითქმის შეასხა და ჩემპიონატიც მძლავრად დაიწყო. ახლა კი თემურ მახარაძის სამწყსოს დავით დათვაძის სახით სერიოზული ძალა შეემატება.

აქვე გეტყვით, რომ დათვაძეს ბოლნისის „სიონში" ადრეც უთამაშია. მაშინ ქვემოქართლელთა ლიდერს თბილისის „დინამომ" დაადგა თვალი და მიზანსაც მიაღწია. მერე „პუჭურამ" რკინიგზული კლუბის მაისურიც მოირგო და ამ სეზონის წინ ისევ „სიონში" დაბრუნდა.

ახლა დავით დათვაძე გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ფეხბურთელს მუხლი აღარ აწუხებს. ასე რომ, მისი მოედანზე დაბრუნება უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია.

ბოლოს „სიონის" ერთ პრობლემაზეც ვთქვათ. რა ხანია, ბოლნისელები თავდამსხმელ ჰამლეტ წივწივაძის დამატებას აპირებენ, თუმც ის განჯის „ქიაფაზის" საკუთრებაა და აზერბაიჯანელები დღემდე არ აგზავნიან გათავისუფლების ფურცელს. „სიონი" კი ჯერაც ელის.

**კახა ზალამბერიძე**



დავით დათვაძემ ფეხი გამართა


# იყიდება უნიკალური წიგნები

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები.

ტ. 30-75-81




### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. 14 წრე. 11 ტური

სამგურალი 3:0 გურია

იბერია 2:1 სამტრედია

ხობი 0:1 ცხინვალი

ლოკომოტივი 2 0:0 ჭაბუკთა ნაკრები

მცხეთა 1:1 თსუ

დინამო 2 1:2 ლოკო

მერცხალი 1:0 ლაზიკა

ქობულეთი 2:0 ალაზანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 11 | 7 | 3 | 1 | 16:5 | 24 |
| ცხინვალი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:8 | 22 |
| ლაზიკა | 11 | 6 | 4 | 1 | 21:13 | 22 |
| იბერია | 11 | 6 | 3 | 2 | 16:11 | 21 |
| სამგურალი | 11 | 4 | 5 | 2 | 13:10 | 17 |
| მცხეთა | 10 | 4 | 4 | 2 | 15:9 | 16 |
| თსუ | 11 | 4 | 3 | 4 | 8:9 | 15 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 10 | 4 | 2 | 4 | 16:11 | 14 |
| ლოკო | 10 | 4 | 2 | 4 | 10:12 | 14 |
| ქობულეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 6:8 | 13 |
| გურია | 11 | 3 | 3 | 5 | 6:12 | 12 |
| დინამო 2 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:13 | 11 |
| სამტრედია | 11 | 3 | 2 | 6 | 10:16 | 11 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 2 | 4 | 3 | 7:6 | 10 |
| ალაზანი | 11 | 0 | 4 | 7 | 6:24 | 4 |
| ხობი | 11 | 0 | 3 | 8 | 5:19 | 3 |

# დემეტრაძემ სიომინი გაზაევს ჩააბარა

## ალანიას ქართველებმა მოსკოველები შეაწუხეს

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ნანატრი ჩემპიონობა წლეულსაც თუ ვერ მოიპოვა, ვლადიკავკაზის „ალანიას“ ქართველი ფორვარდები, მიხეილ აშვეთია და გიორგი დემეტრაძე რკინიგზელებს თვალით ვერ დაენახვებიან.

გუშინწინ მოსკოვის „ლოკომოტივი“, შეიძლება ითქვას, საჩემპიონო მატჩის გასამართად ვლადიკავკაზს ესტუმრა და ქულისა და ნერვიულობის მეტს იქაური „ალანიასგან“ ვერაფერს გამორჩა. არადა, მოსკოველ რკინიგზელებს რომ მოეგოთ, თანაქალაქელ არმიელებს ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ამდენივე ქულით მოიტოვებდნენ, ზედ „სპარტაკსაც“ მიაყოლებდნენ და თავის საჩემპიონო შანსს ერთიახად გაზრდიდნენ. „ალანიამ“ კი მიზნის მისაღწევად შემართული „ლოკომოტივი“ ციდან მიწაზე დააბრუნა და ცესკასთან გაათანაბრა. გუშინწინდელი მატჩი ფრედ, 1:1 დამთავრდა, პირველი გოლი მე-10 წუთზე მიხეილ აშვეთიამ გაიტანა, პიმენოვის საპასუხოს შემდეგ კი გიორგი დემეტრაძეს აუწყვეტია და მოსკოველთა მეკარე ოვჩინიკოვის წარმოუდგენელი რეაქცია რომ არა, ჩვენიანი „ლოკომოტივს“ საბოლოოდ მოუთავებდა ხელს.

აქვე ისიც გავიხსენოთ, დემეტრაძე სწორედ „ლოკომოტივში“ რომ თამაშობდა და ზაფხულში რკინიგზელთა მწვრთნელმა „ალანიას“ დაუთმო. თუმცა დემეტრაძის პატრონი არც „ალანიაა“, არც „ლოკომოტივი“, ის ესპანური პრიმერადივიზიონის ლიდერის „სოსიედადის“ ფეხბურთელია, რომელსაც რუსეთის ჩემპიონატის ბოლომდე ჰყავს განათხოვრებული.

— 17 ნოემბრამდე ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა გაირკვევა. ან „ალანიაში“ დავრჩები, ან „სოსიედადში“ დავბრუნდები, ანაც ბელგიურ „ბრიუგეს“ მივაშურებ — გვითხრა **გიორგი დემეტრაძემ** — „ალანიაში“ სწორედ 17-მდე ვარ განათხოვრებული და უკვე „სოსიედადზეა“ დამოკიდებული, სად ვითამაშებ. ისე, ჩამოთვლილი გუნდების გარდა ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი კლუბიც არის ჩემით დაინტერესებული.

**— თავად რუსეთში დარჩენას ამჯობინებ?**

— რუსეთში თამაშს „ბრიუგე“, პრიმერადივიზიონის ლიდერი „სოსიედადი“ და პრემიერლიგის გუნდი ნამდვილად სჯობს.

**—ამ ვარიანტთაგან რომელი უფრო რეალურია?**

— ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, ვნახოთ, სეზონის დამთავრებას დაველოდოთ.

**— ახლა ის გვითხარი, „ლოკომოტივთან“ მატჩისას რა მოხდა?**

— რა უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებული არაფერი. „ლოკომოტივს“ ჩემპიონობისთვის ვლადიკავკაზში სამი ქულა პაერივით სჭირდებოდა, თუმცა ჩვენც არანაკლებ, „ალანია“ ხომ გასავარდნელთა ზონაშია. დიდი ბრძოლა იყო, ეს ანგარიშიდანაც ჩანს.

**— „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ განსაკუთრებული მონდომებით ითამაშებდი...**

— რა თქმა უნდა, ერთიორად მოვინდომე და რაც თბილისში შეწყვეტილი სანაკრებო მატჩისას ნიჟეგოროდოვსა და იგნაშევიჩს დავაკელი, მგონი, ახლა ავუნაზღაურე. უნდა გენახათ, რა უმწეონი ჩანდნენ.

**— გოლი კი ვერ გაიტანე.**

— გოლს გამართლება უნდა, ოვჩინიკოვმა ვლადიკავკაზში კარიერაში საუკეთესოდ ითამაშა. ეს „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა იური სიომინმაც აღნიშნა.

**— სიომინს არ შეხვედრიხარ?**

— შევხვდი, მაგრამ ჯობდა, არ შევხვედროდი. აშკარად ეტყობოდა, ჩემი და აშვეთიას თამაშით ძალიან შეწუხებული იყო. არ ვტრაბახობ, თანაც „ალანიას“ ხელმძღვანელობამ მთხოვა და ისე ვითამაშე, სტუმრებს თავ-ბედი ვაწყევლინე.

**— წინა ტურში ცესკასთან ვლადიკავკაზში წააგეთ. არმიელთა მწვრთნელი გაზაევია, „ალანიას“ ძველი მეგობარია. პოდა, ეჭვი გაჩნდა, „ალანიამ“ ცესკას ჩემპიონობისთვის „ლოკომოტივს“ თავი შეაკლაო...**

— ვლადიკავკაზში არც ცესკას ჰქონდა მოსაგები, მაგრამ მსაჯმა ცენტრის ხაზს არ გადაგვაშორა. ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა, თუმცა წავაგეთ. გუშინ კი უნდა მოგვეგო. „ლოკომოტივი“ კმაყოფილი უნდა იყოს, მთლად უქულოდ რომ არ დარჩა. სხვა რა, წელანაც ვთქვი, „ალანიას“ ქულები არანაკლებ სჭირდება, ვიდრე ცესკასა და „ლოკომოტივს“.



ბაჩუკი ქართლელიშვილის ფოტო

**— გავარდნის უკვე აღარ უნდა გეშინოდეთ.**

— ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ უახლოესი მატჩი მახაჩყალაში „ანჟისთან“ გვაქვს, რომელიც ასევე ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, ბოლო ტურში „როტორს“ ვმასპინძლობთ. ამ ორი მატჩის წაგება, შესაძლოა, გავარდნად დაგვიჯდეს.

**— სიომინთან შეხვედრისას შენს მომავალზე არაფერი გითქვამს?**

— არაფერი. სიომინი უხასიათოდ იყო, მოვერიდე.

**ქობა ინასარიძე**



ბიბა ახალაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძემ (მარჯვნივ) „ლოკომოტივს“ წყენი გაუხსენა



ბაჩუკი ქართლელიშვილის ფოტო

# სირაძემ კიეველებს თავიც მოაწონა და თავპურიც

## ანდრეი ბიბა ლოკომოტივის ნახევარმცველს თბილისში დააკვირდება

**მატჩიდან** მატჩამდე უმატებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი დავით სირაძე. ტანხმელი, ტექნიკური სირაძე, მიუხედავად ასაკისა, ლიდერის თვისებებითაც გამოირჩევა. „ლოკომოტივში“ ბევრჯერ საკუთარ თავზეც აუღია თამაში და ამგვარი თამამი მოქმედებით შედეგიც მოუტანია გუნდისთვის. სირაძე ეფექტურია „მეორე სართულზე“ თამაშისას, მეტიც, ლამის უკონკურენციოცაა საქართველოს ჩემპიონატში, ამის დასტურად თუნდაც ბოლო ტურში გურჯაანში მის მიერ გატანილი გოლი გამოდგება. ბალაშვილის ჯარიმისას ალღოიანმა ნახევარმცველმა მძლავრი ახტომით ერთბაშად სამი მეურვე დაჩაგრა და შორეულ კუთხეში ჩაუსვა მეკარეს ბურთი.

ერთი სიტყვით, სირაძე დიდი ძალაა რკინიგზელთათვის და გუნდი ძნელად თუ შეელევა ამ ფეხბურთელს. საამისო სიტუაცია კი ნამდვილად მომწიფებულია. ქართველი ნახევარმცველის გადაბირება კიევის „დინამომ“ ისურვა. უკრაინელები მოხიბლული და დაინტერესებულნი არიან სირაძით, რასაც ისიც მოწმობს, რომ 10 ნოემბერს „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩს კიეველთა გამოცდილი სელექციონერი ანდრეი ბიბა დაესწრება.

„ბიბა საგანგებოდ სირაძის სანახავად ჩამოდის, ამის შესახებ თავად გვაცნობეს კიეველებმა. უფრო კონკრეტულად არაფერი თქმულა, ერთი კი ვიცი, რომ „დინამო“ ერთობ მოწადინებულია სირაძის გადაბირებით“ — გვითხრა „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ლვაბერიძემ.

ეს ინფორმაცია ჩვენთან საუბარში რკინიგზელთა მენეჯერმა ლევან ყიფიანმაც დაადასტურა, თუმცა ისიც დაამატა, „ლოკომოტივს“ გაახალგაზრდავებაზე უჭირავს თვალი, სამომავლო გუნდში ერთ-ერთ მთავარ ძალად სირაძე მოიაზრება და ვეჭვობ, ეს ფეხბურთელი კიეველებს დავუთმოთო.

**ბაატა ძმანტალიანი**



ბაჩუკი ქართლელიშვილის ფოტო

# არ გინდათ გიგიაძე? ნუ გადაიხდით ზედმეტს

## ტავრიას ქუთაისელი ახალ წელს ალბათ მიხაილიჩენკოსთან შეხვდება

**სასიამოვნო** ამბავი სიმფეროპოლიდან...

— ხვალ უკრაინის ჩემპიონატში ბოლო მატჩს ვითამაშებ „ტავრიას“ მაისურით, მერე კი სხვა კლუბში გადავალ. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ხელმძღვანელობა თანახმაა, გამყიდოს. ცხადია, ეს ჩემთვისაც წინ გადადგმული ნაბიჯია. მით უმეტეს, საკმაოდ სერიოზული გუნდები არიან დაინტერესებულნი. ერთ-ერთი კიევის „დინამოა“. ეს ახლახან გამიმხილა „ტავრიას“ ხელმძღვანელობამ. ამ დღეებში ყველაფერი გადაწყდება — გვითხრა გუშინ სიმფეროპოლის „ტავრიას“ ქართველმა ნახევარმცველმა ვასილ გიგიაძემ.

გიგიაძე უკვე რამდენიმე სეზონია, სიმფეროპოლური კლუბის ღირსებას იცავს და მის ლიდერადაც მიიჩნევა. უკრაინაში ჩვენებურს საკმაოდ კარგი სახელი აქვს დაგდებული და მისით კიევის „დინამოს“ დაინტერესებაც არ უნდა იყოს მთლად გასაკვირი ამბავი.

ბოლოხანს მეტად გახშირდა კიეველთა ყურადღება ქართველი ფეხბურთელებისადმი. მათი ინტერესის სფეროში რამდენიმე ჩვენებურის გვარსახელი მოხვდა. ახლა კი მათ რიცხვს ვასილ გიგიაძეც შემატა, რომელიც წინა სეზონის უცხოელ ვარსკვლავთა ნაკრებშიც შეიყვანეს უკრაინელმა გულშემატკივრებმა.

წლეულს გიგიაძემ „ტავრიას“ შემადგენლობაში 14-ჯერ ითამაშა და 6 გოლიც გაიტანა, რაც ნახევარმცველისთვის ურიგო შედეგი ნაღდად არ არის. სიმფეროპოლელებიც დროულად მიხვდნენ, რომ ქართველი ფეხბურთელის გაყიდვა ახლა უფრო სარფიანი იქნება, თანაც გიგიაძეს კლუბთან კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში უმთავრდება...

— ორი-სამი კლუბი კიდევ მაქვს რეზერვში. ახლა ყველაფერი მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. ცხადია, ვინც მეტს გადაიხდის, შანსი მას უფრო დიდი ექნება, თუმცა ეს არ მაშინებს. ხელმძღვანელობა მეუბნება, რომ „დინამოს“ გარდა არც სხვა ვარიანტებია ცუდი. ასე რომ, ახალ წელს უთუოდ სხვა კლუბში შევხვდები — ესეც ვასილ გიგიაძის ნათქვამია.

ჩვენ კი შევახსენებთ, რომ 24 წლის ვასილ გიგიაძეს „ტავრიამდე“ მშობლიურ ქუთაისის „ტორპედოში“, თბილისის „დინამოში“ და „სამტრედიაში“ უთამაშია.

ბოლოს „ტავრიას“ კიდევ ერთ ქართველ გოჩა ტრაპაიძეზეც გეტყვით. როგორც გავიგეთ, კლუბი მის გაყიდვასაც აპირებს. თურმე მსურველები არც გოჩას აკლია.

**ქახა ზალამბერიძე**

# ჩემი ძალა ჩემი ცაციაა



## ვიტალი დარასელიას პრინციპები და გულწრფელობა

*ალბათ, არანაირი გამოკითხვა არ სჭირდება იმას, რომ ჯერჯერობით ამ სეზონში თბილისის „დინამოს" საუკეთესო ფეხბურთელი ვიტალი დარასელიაა...*

*დინამოელი, რომელიც თავისი ფინტებით, დარტყმებითა და კარს გასწვრივ კარგად ჩაბზრიალებული კუთხურებით ჭრის თვალს...*

*მისი გადაბირება ჩეხურ „ლიბერეცს" სურდა, ხოლო ალექსანდრე ჩივაძემ რუსეთთან მატჩისთვისაც ეროვნულ გუნდში მიიწვია...*

*დარასელიას ერთი წელი დასჭირდა, რომ „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი და საერთოდ, ერთ-ერთი საინტერესო მოთამაშე გამხდარიყო არცთუ პატარა განზომილებით.*

*ჩვენი საუბარიც შარშანდელი ამბებით დავიწყეთ, როცა „დინამომ" 160 000 დოლარი ჩაუთვალა კიევის ცეესკას ნიჭიერ ქართველში*

**— ისე ჩანდა, რომ „დინამოში" გადმოსვლაზე ფეხს ითრევდი, ტრანსფერი ხომ მართლაც ჭიანურდებოდა...**

— უბრალოდ, კონკრეტული პირობები იყო დასადგენი. „დინამოში" გადმოსვლა კი, ალბათ, იმიტომ გადავწყვიტე, რომ ერთი წლით მაინც მინდოდა შინ ყოფნა. თანაც გავიგე რომ კარგი გუნდი კეთდებოდა.

**— როგორ ფიქრობ, უკვე გაკეთდა კარგი გუნდი?**

— ჩემი აზრით, „დინამო" ძალიან კარგი გუნდი დადგა, რომელშიც კარგი ფეხბურთელები თამაშობენ. ყველაფერი ეს „ლიბერეცთან" მატჩებმაც დაგვანახა.

**— „ლიბერეცთან" მარცხი ლოგიკური იყო? „დინამოს" მისი გზიდან ჩამოშორების შანსი არ ჰქონდა?**

— მიმაჩნია, რომ შეიძლებოდა „ლიბერეცის" გავლა. შინ ერთი გოლიც რომ გაგვეტანა, ამის დიდი შანსი მოგვეცემოდა. ისე კი, კლასით „ლიბერეცი" გვჯობნიდა და ეს არცაა გასაკვირი — ეს გუნდი ხომ უკეთეს ჩემპიონატში თამაშობს.

**— ჩეხეთის ჩემპიონმა შენი გადაბირება მოისურვა, თუმცა ტრანსფერი არ შედგა. როგორც „დინამოში" გვითხრეს, შენც წინააღმდეგი იყავი „ლიბერეცში" გადასვლისა...**

— გააჩნია „ლიბერეცი" რა პირობებს შემომთავაზებდა. მაგრამ ისეთ თანხად, რამდენადაც „დინამომ" დამაფასა, ალბათ, არაც არავინ გადამიბირებდა. როგორც გავიგე, „დინამოს" ჩემი გაშვება არ უნდოდა.

**— შენ კი არ იუარებდი „ლიბერეცში" გადასვლას?**

— მაშინ „ლიბერეცს" ჩემთვის ორჯერ თუ სამჯერ უკეთესი პირობები უნდა შემოეთავაზებინა — ამას რომ ვამბობ, საკითხს წმინდა პროფესიულ თვალსაზრისით ვუდგები, მე ხომ პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ. აი, მართლა ძალიან მოწინავე საფეხბურთო ქვეყნის გუნდმა რომ მოისურვოს ჩემი ტრანსფერი, ფულს დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებ. „ლიბერეცი" კი ისეთი გუნდია, რომ დღეს თუ არა ხვალ, მას „დინამო" აჯობებს.

**— მას შემდეგ, რაც გუნდში ივო შუშაკი მოვიდა, შენ თანდათან ფორვარდად იქეცი. როგორ ფიქრობ, რატომ გადადგა შუშაკმა ასეთი ნაბიჯი?**

— წინასასეზონო შეკრებაზე ერთ-ერთ საკონტროლო თამაშისას ისე მოხდა, რომ თავდამსხმელები ტრავმირებულნი იყვნენ და მეც წინ ვითამაშე. ამის მერე შუშაკმა ჩათვალა, რომ შემიძლია თავდასხმაში თამაში და მას შემდეგ ფორვარდად ვთამაშობ.

**— რის გამოც, ცოტა არ იყოს ვერ გრძნობ მთლად მყუდროდ თავს თავდამსხმელის პოზიციაზე...**

— ახლა აღარ, მაგრამ პირველ ხანებში მართლაც მიძნელდებოდა ამ პოზიციაზე თამაში. მიჭირდა სიტუაციის ფორვარდივით შერჩევა.

**— წინა სეზონთან შედარებით აშკარად მოუმატე. რომ არა შუშაკი, შეძლებდი ამას?**

— შუშაკი რომ არა, არც მე და არც გუნდს წინსვლა არ გვექნებოდა.

**— მაინც რა შეიცვალა შუშაკის მოსვლით?**

— ძალიან ბევრი რამ, თუნდაც დისციპლინა. ტაქტიკურადაც უფრო გააზრებულად ვთამაშობთ, თანაც პირობებიც გაგვიუმჯობესდა. ნელ-ნელა კიდევ უფრო მოვუმატებთ თამაშს.

**— ცაცია ხარ და მარჯვენა ფეხით ბურთს ფაქტობრივად არ ეხები. შენ მაინც უფრო მოედნის სიღრმიდან შემტევი ფეხბურთელის ტიპი ხარ და როგორ ფიქრობ, ორივე ფეხით თამაში აუცილებელია?**

— აუცილებელია და მარჯვენა ფეხს რომ ვერ ვხმარობ, ეს პრობლემებს მიქმნის. დიდი სურვილი მაქვს, ეს ნაკლი გამოვასწორო. ამისთვის საგანგებოდ ვვარჯიშობ კედელთან მარჯვენათი დარტყმებში.

**— მიგაჩნია, რომ თუ პლეიმეიკერად ითამაშებ, უფრო კარგად წარმოაჩენ თავს?**

— ჩემი აზრით, თუ თავდამსხმელების უკან ვიქნები, უფრო ძლიერად ვითამაშებ. შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე ვფიქრობ.

**— ეროვნულ ჩემპიონატზე გადავერთოთ. უშუალო კონკურენტ „ტორპედოს" ქუთაისში მოუგეთ, თანაც ისე, რომ „დინამოს" მაინცდამაინც შთამბეჭდავი თამაში არ უჩვენებია...**

— მაშინ ლიბერეციდან ახალი ჩამოსულები ვიყავით და იმდენი ჯანი გვქონდა დახარჯული, რომ ქუთაისში მოედანზე მოძრაობა გვიჭირდა. უნდა წაგვეგო, თუმცა მოვიგეთ — „ტორპედომ" ბევრი კარგი მომენტი გააცუდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ბურთი მრგვალია. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კი „ტორპედოს" გარდა, ალბათ „ვიტ ჯორჯია" და „ლოკომოტივიც" გაგვიწევენ წინააღმდეგობას.

**— შენი აზრით, პირველ რიგში მაინც რის ხარჯზე აქვს უპირატესობა „დინამოს" ამ სამ გუნდთან?**

— გააზრებული და სწრაფი თამაშის ხარჯზე. ჩვენ უფრო სწრაფად მოთამაშე სტილის გუნდი ვართ.

**— ალექსანდრე ჩივაძემ რამდენჯერმე მიგიწვია ეროვნულ ნაკრებში, თუმცა, ასე ვთქვათ, თამაში შენთვის ჯერ არ მოუცია. ამით ცოტა გულნატკენი ხომ არ ხარ?**

— გულნატკენი ნამდვილად არ ვარ. რუსეთთან მატჩში მეორე ტაიმი უნდა მეთამაშა, ეს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ... ისე კი, ნაკრებში ისეთი ფიგურები არიან, რომ ძნელია მათი ადგილის დაკავება. მაგრამ ცოტა ხანში ჩემსას დავამტკიცებ.

**— შენს ყველაზე ძლიერ მხარედ რას მიიჩნევ?**

— ჩემს მარცხენა ფეხს. სხვა ერთობ განსაკუთრებული რამ, ალბათ, არც მაქვს.

**დავით თავართქილაძე**

# დღე და ღამე ფეხბურთი

## ნოზაძე კაპიტნობას თარჯიმნობას უთავსებს

საფეხბურთო წრეებში **ლაშა ნოზაძეს** პატარას, ზრდილ ახალგაზრდა კაცად იცნობენ. მოედანზე მუდამ თავდაუზოგავად მებრძოლი და მოუღლელია. ალბათ, ამიტომაც გამოარჩია თანაგუნდელთაგან ჯანი კარნევალიმ და მკლავზე კაპიტნის სამკლავური შეაბა.

ისიც თავაწეული გაუძღვა „ეროვნულზე" „ვიტ ჯორჯიას". ვიტელებმა გუშინწინდელ მატჩში ყველაფერი ჩააქსოვეს და „დინამოც" სეზონში პირველად დაამარცხეს. ერთადერთი, გამარჯვების გოლი ნოზაძემ გაიტანა. კარნევალიმ კი წინა დღით დანაპირები აუსრულა ათგზის ჩემპიონებს.

დღეს ვიტელთა კაპიტანი „სარბიელის" სტუმარია. გუშინწინდელ გამარჯვებაზე, განვლილ ტურებზე, „ვიტ ჯორჯიასა" და საკუთარ თავზე თავად ნოზაძე მოგვიყვება. ვიტელთა ყოჩს „დინამოსთან" გამარჯვებით განცდილი სიხარული ჯერაც არ განელებია.

— ძალიან მოვინდომეთ, გამარჯვებისთვის ყველაფერი გავიღეთ და საწადელს მივაღწიეთ. „ეროვნულზე" „დინამოსთან" რომ წაგვეგო, „ტორპედოც" სოლიდური მარაგით ჩამოგვიტოვებდა და „ლოკომოტივიც" წამოგვეწეოდა. ახლა ქუთაისელები ქულით გვისწრებენ, ათგზის ჩემპიონები — სამით, ხოლო რკინიგზელებს ამდენივეთი ვუსწრებთ. მოკლედ, მთავარი ბრძოლები წინ გველის.

**— გათამაშების ცხრილი საგულდაგულოდ შეგისწავლიათ, ჩემპიონობას ხომ არ გეგმავთ?**

— პირველობაზე უარს აბა, ვინ იტყვის, მაგრამ ჩვენ ვითარებას რეალურად ვაფასებთ და უეფას თასის საგზურის მოპოვება გვწადია. ამის მიღწევა ნამდვილად შეგვიძლია, ხოლო „ტორპედოს" და „დინამოს" საჩემპიონო დავაში არა მგონია, ვინმე ჩაერიოს.

**— გუშინწინდელი მატჩის დაწყებამდე „ეროვნულის" გასახდელში ჯანი კარნევალიმ რა გითხრათ?**

— მთელი კვირა იმას ჩაგვჩიჩინებდა, „დინამოსთან" ტოლ-სწორად თამაში შეგიძლიათო. მატჩამდე კი გასახდელიდან ამ სიტყვებით გამოგვაცილა — ბოლომდე იბრძოლეთ, ძალიან მოინდომეთ, ითამაშეთ ის, რაც იცით და არ წააგებთ. მწვრთნელს წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა, ამან ფეხბურთელებიც დაგვაიმედა, რაც მეტოქის ძლევაში დიდად დაგვეხმარა.

**— როდის მიხვდით, მატჩი სათქვენოდ რომ დასრულდებოდა?**

— თამაშის დაწყებამდე თხუთმეტიოდე წუთიც არ იქნებოდა გასული. „დინამო" საგოლედ ვერ გვიტევდა, ჩვენ კი იმ დროისთვის ერთი მომენტი ქარს გავატანეთ. გული მიგრძნობდა, რომ არ წავაგებდით. გოლის შემდეგ კი დავრწმუნდი, მეტოქე გამთანაბრებელი აღარ იყო.

**— კარნევალი იტალიელია. რუსულს თითქოს კი ამტვრევს, მაგრამ მისი ნათქვამის გაგება ჟურნალისტებს მაინც გვიჭირს. ფეხბურთელებს ბოლომდე თუ გესმით მწვრთნელის?**

— ორი წელიწადია, კარნევალი გვწვრთნის და უკვე ყველაფერს შევეჩვიეთ. ფეხბურთის ენა ხომ ყველგან ერთნაირია. ორი წლის მანძილზე ჩვენც კარნევალის ენაზე ავლაპარაკდით. შეიძლება, ახალწვეულებს რაღაცის გაგება უჭირთ კიდეც, მაგრამ ასეთ შემთხვევებში დავალებებს უფრო გამოცდილები ვუხსნითხოლმე.

**— სადღეისოდ „ვიტ ჯორჯიას" სამი წაგება აქვს, ორჯერ ჩემპიონმა „ტორპედომ" გაძლიათ, ერთხელაც „ლოკომოტივმა". ხომ ვერ აგვიხსნით, დამარცხების უმთავრესი მიზეზი რა იყო?**

— ქუთაისში წასაგები თითქმის არაფერი გვჭირდა. მასპინძლებს თამაშით არ დავუჩაგრივართ. უბრალოდ, მათ საგოლე მომენტი გამოიყენეს, ჩვენ კი ვერ მოვახერხეთ ბურთის გატანა. მეორე წრეში „შევარდენზე" რიონისპირელებმა აშკარად დაგვჯაბნეს. უსამართლობა იქნება, ის დამარცხება სხვა რამეს დავაბრალოთ. „ვიტ ჯორჯიამ" ვერ ითამაშა საკადრისად.

რაც შეეხება რკინიგზელებთან წაგებულ შეხვედრას, დღესაც ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ, როგორ მოვახერხეთ, თითქმის მოგებული თამაში მეტოქისთვის დაგვეთმო. პირველ ტაიმში „ლოკომოტივი" ყველაფერში დავჩაგრეთ, გოლიც გავიტანეთ და გასახდელშიც გახარებულები შევედით. თითქოს გული ცუდს უგრძნობდაო, კარნევალი ჩაფიქრებული დაგვხვდა. გვთხოვა, ათი წუთი ანგარიში შეგვენარჩუნებინა, მერე შეცვლებს გავაკეთებ, თამაშს სხვა ტაქტიკით გავაგრძელებთო. მატჩის განახლებიდან ხუთ წუთში უკვე 1:2-ს ვაგებდით. ბიჭებს დღესაც ვერ აუხსნიათ, დროის იმ მონაკვეთში რამ შეგვბოჭა. დამთავრებამდე რკინიგზელებმა ერთიც გაგვიტანეს და სამი ქულა წაიღეს, პირველი ტაიმის შემდეგ ჯიბეში რომ გვეგულებოდა.

**— „ვიტ ჯორჯიას" მოულოდნელი ჩავარდნები ახასიათებს...**

— წარმატებული მატჩების სერიას წაფორხილებაც თან სდევს. ეს ასეა ყველა ქვეყანაში. თუმც ჩვენს შემთხვევაში უფერული თამაშების მიზეზად გუნდის საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკს მივიჩნევ. „ვიტ ჯორჯიაში" არიან მოთამაშეები, რომლებსაც ერთი შეხედვით გამოცდილება არ აკლიათ, მაგრამ მთელი ჩემპიონატის ერთ დონეზე ჩასატარებლად ეს მაინც არასაკმარისად მიმაჩნია.

**— წინა სეზონში მაინცდამაინც მხნედ არც თქვენ გამოიყურებოდით. ახლა კი აშკარად მოუმატეთ და შედეგიანადაც ათამაშდით. თქვენი წინსვლის საიდუმლოს არ გაამხელთ?**

— განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. ვარჯიშზე და თამაშზე ბოლომდე ვიხარჯები, ეგ არის და ეგ. თანაც, რაც გუნდის კაპიტნად ამირჩიეს, მეტი პასუხიმგებლობა ვიგრძენი. თავს მეტს ვთხოვ.

**— ფეხბურთს რისთვის თამაშობთ, საბოლოოდ რას გინდათ მიაღწიოთ?**

— რთული კითხვაა, სიმართლე გითხრათ, ამაზე არასდროს მიფიქრია. ფეხბურთს იმიტომ ვთამაშობ, რომ სხვაც არაფერი მეხერხება. ჩემს პროფესიად მიმაჩნია და მიყვარს ეს საქმე. მსურს, გარკვეულ დონეს მივაღწიო, ეროვნულ ნაკრებში მოვხვდე და ნორმალურ საფეხბურთო ქვეყანაში გავაგრძელო კარიერა. კიდევ ის მინდა, ჩემი პროფესიით ჩემს ოჯახს ნორმალური პირობები შევუქმნა და ბედნიერი ვიყო.

**— თანაგუნდელებშიც და კლუბს გარეთაც მოწესრიგებულ კაცად გიცნობენ. რეჟიმი თუ დაგირღვევიათ?**

— ვცდილობ, პროფესიონალად ჩამოვყალიბდე, ამიტომ ისეთ არაფერს ვაკეთებ, ვარჯიშსა და თამაშში ხელი შემიშალოს. ყოფილა შემთხვევა, ჭიქა ღვინოც ამიწევია, თუმც ზომიერების დაცვაც მეხერხება. სიგარეტზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ერთადერთი, რასაც ვერ ვძლიე, გვიან ღამამდე ტელევიზორის ყურებაა. რა ვქნა, ევრომატჩები ხომ ჩვენი დროით გვიან იწყება.



**— თავისუფალ დროს ვისთან და როგორ ატარებთ?**

— ცოლ-შვილთან ყოფნა და მეგობრების წრეში ტრიალი ყველაფერს მირჩევნია. არც კალათბურთის თამაშზე ვამბობ უარს და სოულსაც სიამოვნებით ვუსმენ. სხვა რამისთვის კი ფეხბურთელს საქართველოშიც კი არ სცალია.

**გაგუნა ძვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთხი მიწოლა ქვევიდან, არსენალის მეხუთე ექვსიდან



REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — საუთჰემპტონი. სტუმარმა მეტიუ ოკლიმ ბრუნო შეირუს ბურთი არ დაანება

## ინგლისი

**ლიგის თასი. 1/16 ფინალი**

**არსენალი 2:3 სანდერლენდი**
**ბარნსლი 2:1 ტოტენჰემი**
**ჩელსი 2:1 გილინგემი**
**ფულემი 3:1 ბერი**
**იფსვიჩი 3:1 მიდლსბრო**
**ნიუკასლი 3:3დ.დ. (პენ. 2:3, 2:2) ევერტონი**
**ოქსფორდი 0:3 ასტონ ვილა**
**შეფილდ იუნ. 2:1 ლიდსი**
**ვესტ ჰემი 0:1 ოლდემი**
**ბლეკბერნი 2:2დ.დ. (პენ. 5:4, 1:1) უოლსოლი**
**კრისტალ პალასი 3:0 ქოვენთრი**
**ლივერპული 3:1 საუთჰემპტონი**

**ასეთი რამეები** მხოლოდ იქ თუ მოხდება, სადაც ფეხბურთი ძალიან და განსაკუთრებულად უყვართ.

ეგრეა, თორემ სათასო მატჩები თითქმის ყველა ქვეყანაში სათასო მატჩებია — ხშირად სუსტი ძლიერს ამარცხებს.

ინგლისში ლიგის თასის მეთექვსმეტედფინალში წარმოიდგენთ და, ერთბაშად ოთხი პრემიერლიგური გუნდი დაიფრინეს ქვედალიგელებმა — „ვესტ ჰემი“, „ლიდსი“, „ტოტენჰემი“ და „მიდლსბრო“.

ლონდონელი „ჩაქუჩებით“ დავიწყოთ. გლენ რიოდერის სპა სამარცხვინოდ, მეტად ულაზათოდ გაისარჯა და სულაც მეორე დივიზიონის ბინადარ „ოლდემ ატლეტიკთან“ დამარცხდა.

ლიგის თასის წინა გათამაშების ფინალისტია „ტოტენჰემი“, მაგრამ მანაც წააგო, თუმცა ოღონ პირველი დივიზიონის „ბარნსლისთან“.

„ტოტენჰემი“ ურუგვაელი გუსტავო პოიეტის თავურით დაწინაურდა და მერელა გაუშვა ორი გოლი. „ამ საღამოს არაფერს ვიმსახურებდით, მეტოქე ჩვენზე უკეთესი იყო“ — ამის მეტი ვერაფერი თქვა „სპურზების“ დამრიგებელმა გლენ ჰოდლმა.

პირველსავე დივიზიონშია „შეფილდ იუნაიტედი“, რომელმაც საოცარი გამარჯვება მოიპოვა „ლიდსზე“ — შეფილდელები 0:1 აგებდნენ, მაგრამ მატჩის ბოლო და მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში გაიტანეს ორი გოლი.

„ლიდსი“ ერთ-ერთი შეფილდელის ავტოგოლით დაწინაურდა 24-ე წუთზე, ხოლო მატჩის მიწურულს ფილ ჯამელკამ ჯერ 30 მეტრიდან გაიტანა, მერე კი პიტერ ნდლოვუმ მოუთავა ლიდსელებს საქმე. „ისეთმა ფორვარდმა მოგვითავა საქმე, ვისი მსგავსიც არ მინახავს“ — ეს თქვა ნდლოვუზე იორკშირელთა მენეჯერმა ტერი ვენებლზმა.

ყველაზე გამორჩეული მოგება მაინც „ოლდემისა“ იყო — ასე განსაჯა ბრიტანულმა მედიამ. შეხვედრის ერთადერთი გოლი 42-ე წუთზე კანადელმა ფორვარდმა კარლო კორაზინმა გაიტანა ნაკუთხურალი თავურით დევიდ ჯეიმსის კარში.

და არსენ ვენგერის უცნაური, გაბითურებული „არსენალი“. იორკშირელთა დარად ლონდონელებიც იგებდნენ, ოღონდ 2:0-ს და ოღონდ პრემიერლიგელ „სანდერლენდთან“, მერე კი სამი გოლი გაუშვეს.

არსენ ვენგერმა ფაქტობრივად სარეზერვო გუნდი გაიყვანა „ჰაიბერიზე“, ხოლო „სანდერლენდმა“ სარეზერვოსა და პირველი გუნდის ნაზავი. მეთოფეთაგან გოლები რობერ პირესმა და ფრენსის ჯეფერსმა შეაგდეს, რასაც კევინ კაილის, მარკუს სტიუარტის და დარენ უილიამსის საპასუხო გოლები მოჰყვა.

ეს „არსენალის“ მეხუთე წაგება გახლდათ ბოლო ექვს შეხვედრაში.

ინგლისში ყბად იღეს „ჩელსის“ გამარჯვების ამბავი, რადგან ლონდონელთა რიგებში პირველად ითამაშა 18 წლის შემტევმა კარლტონ კოულმა და ორივე გოლი მან შეაგდო.

პირველდივიზიონელი „იფსვიჩის“ მოგება პრემიერლიგელ „მიდლსბროზე“ კი რატომღაც არავის გაუკვირდა. ალბათ იმიტომ, რომ იფსვიჩელები უეფას თასზე თამაშობენ და არცთუ ურიგოდ — მეორე ეტაპის პირველ მატჩში შინ ჩეხურ „ლიბერეცი“ დაამარცხეს 1:0.

**დავით თაგართქილაძე**

# ვაჰ, ბაიერნმა მოიგო



REUTERS ოფენბახიდან

ოფენბახი — ნიურნბერგი. მარტინ დრილერმა მასპინძლებს გამარჯვებისა გაუტანა

## გერმანია

**თასის 1/16 ფინალი**

**ბალინგი 1:2 ვალდჰოფი**
**კილი 1:2 ბოხუმი**
**ბაიერნი 2:1 ჰანოვერი**
**ოფენბახი 2:3დ.დ. (2:2) ნიურნბერგი**
**ალენი 3:1 როიტლინგენი**
**ლევერკუზენი 3:0 შტუტგარტი**
**ზანქტ პაული 0:3 ვერდერი**
**კოტბუსი 0:1 კაიზერსლაუტერნი**
**შალკე 5:0 მიონხენგლადბახი**

**„შედეგით** კმაყოფილი ვარ. მატჩამდე ფეხბურთელები ცოტა ნერვიულობდნენ, მაგრამ მოედანზე არ დაბნეულან და დამსახურებულად გაიმარჯვეს“ — ხარობდა „ჰანოვერთან“ მატჩის შემდეგ ბავარიელთა თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი.

სასიხარულო კი მართლაც ჰქონდა. მისმა გუნდმა ოთხი მოუგებელი მატჩის შემდეგ, როგორც იქნა, იმარჯვა და თანაც „ჰანოვერთან“, რომელმაც „ბაიერნს“ ორი კვირის წინ მისსავე „ოლიმპიაშტადიონზე“ ქულა აართვა.

სათასო მატჩის პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა, მეორე ტაიმში კი „ბაიერნი“ გააქტიურდა და 56-ე წუთზე მიხაელ ბალაკის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანით ჰასან სალიჰამიჯიჩმა ანგარიში გახსნა. ორიოდ წუთში იმავე ბალაკის პასით როკე სანტა კრუზმა სტუმრებს მეორე გაუტანა. ორბურთიანი უპირატესობის მიღწევის შემდეგ „ბაიერნი“ მოეშვა, „ჰანოვერმა“ კი ცოტა გაიბრძოლა და მსაჯის მიერ წამატებულ წუთზე შეცვლაზე შესულმა ნკუფომ თერთმეტმეტრიანით სხვაობა შეამცირა.

დანარჩენი თამაშებიდან გამოსარჩევია ბუნდესთასის მფლობელ „შალკეს“ დიდი ანგარიშით — 5:0 გამარჯვება „მიონხენგლადბახთან“. ამ მატჩში გელზენკირხენელთა დანიელმა ფორვარდმა ებე სანდმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

თასის ფინალისტმა „ლევერკუზენმა“ კი ბოლო ხუთ დღეში ზედიზედ მეორედ სძლია „შტუტგარტს“. სტუმართა რბევა მეორე ტაიმის პირველი წუთებიდან სებესკენმა დაიწყო, რასაც ბიროფკამ ორი გოლი მიაყოლა.

ბუნდესლიგის მაჩაჩალებმა — „კოტბუსმა“ და „ლაუტერნმა“ კი ერთმანეთში ულმობლად იბრძოლეს და მატჩის ბოლო წუთზე ტაიმის გოლით სტუმრებმა იმარჯვეს.

შემდეგი ეტაპის კენჭისყრა კვირას მოეწყობა, თამაშები კი 3-4 დეკემბერს გაიმართება.

**ლუკა გეგეჭკორი**


სავიზიალიზირებელი სალონი-მაღაზია

ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

აქსესუარები

1000 მეტი დასახელება

კიები, ბურთები, ნაჭრები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან.

ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია




☎ 95-57-75, 95-88-46

ქ. თბილისი, ჯუნაძის ქ. 2




ალიკანტეში დიდი ზეიმია

# ალიყური ალიკანტესგან

## ესპანეთი

**თასის 1/16 ფინალი**

**ირუნა 2:1 ბილბაო**
**ეიბარი 0:0 (პენ. 6:7) ოსასუნა**
**პალამოსი 3:6დ.დ. (3:3) ბეტისი**
**ოვიედო 0:4 რეალი**
**ხეტაფე 1:2დ.დ. (1:1) ვალიადოლიდი**
**ლეონესა 0:2 ატლეტიკო**
**სარაგოსა 1:2 ალავესი**
**ხერესი 2:0 მალაგა**
**მურსია 1:0 ბადახოსი**
**ლინარესი 1:2 სევილია**
**ალმერია 0:1 უელვა**
**ალიკანტე 3:3დ.დ. (პენ. 5:4, 1:1) ვალენსია**

**სამეფო თასმა** მერვედფინალს უწია და სანამ გუნდები სამერვედფინალოდ დაწყვილდებოდნენ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაღახდათ.

ჩემპიონი „ვალენსია“ უსახელო „ალიკანტესთან“ დამარცხდა. რაფაელ ბენიტესის დამოძღვრილებმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ქვედადივიზიონელები ვერ წააქციეს. არადა, როგორ ახლოს იყვნენ „ღამურები“ გამარჯვებასთან. პირველი ნახევარი ფრედ 1:1 დასრულდა. მეორეში კი ვალენსიელებმა ანგარიში 3:1 გახადეს — ჯერ ხუან სანჩესმა გაიტანა, მერე მისტამ. თითქოს უპრობლემოდაც უნდა გასცდენოდნენ მეთექვსმეტედფინალს, თუმცა ხულიომ და ტონი გარსიამ ლამის შეუძლებელი შეძლეს და ჩემპიონს მსაჯის მიერ წამატებულ ორ წუთში ორი გოლი (!) გაუტანეს.

დამატებით დროში მეტოქეებს ღირებული არაფერი გაუკეთებიათ და საქმე პენალტებამდე მიიყვანეს. გუნდებმა პირველი ოთხ-ოთხი დარტყმა ზუსტად შეასრულეს. აი, ბოლო მეხუთე კი ვალენსიელმა ფაბიო აურელიომ კარს ააცილა და „ალიკანტეს“ გზა დაულოცა.

არანაკლებ ინერვიულა „რეალ ბეტისის“ დამრიგებელმა ვიქტორ ფერნანდესმა. მან მარცხს თვალებში ჩახედა, თუმცა მისმა გუნდმა თითქმის წაგებული თამაში გადაარჩინა.

ანდალუსიელები მეორე ტაიმში 1:3 აგებდნენ და მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს „პალამოსის“ გატეხვა. ფერნანდომ და რივერამ შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანეს, იქ კი ხოაკინმა, მარკოს ასუნსაომ და ფერნანდო ვარელამ მესამელიგელებს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს.

მადრიდის „რეალი“ კი ასტურიიას ესტუმრა და იქაურ „ოვიედოს“ წირვა გამოუყვანა. „სამეფო კლუბს“ „მდაბიოთა“ დამარცხება მეორე შემადგენლობითაც არ გასჭირვებია. ვისენტე დელ ბოსკემ ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ათი ფეხბურთელი დატოვა დედაქალაქში.

დელ ბოსკეს სათადარიგო შემადგენლობამ გაუმართლა. დამრიგებელი განსაკუთრებით ტოტემ და პორტილიომ გაახარეს და მწვრთნელს შემდეგი სიტყვები ათქმევინეს: „მე მათი ღრმად მწამდა და ყოველთვის ვგრძნობდი, თუ როგორი საჭირო ფეხბურთელები არიან ჩვენთვის. რაც შეეხება მატჩს, გუნდმა შემართებით ითამაშა და ანგარიშიდანაც ჩანს, რომ „რეალისთვის“ სამეფო თასი მეორეხარისხოვანი შეჯიბრება არ არის.“

სხვა პრიმერადივიზიონელებთაგან ორი, ბილბაოს „ატლეტიკი“ და „მალაგა“ შესაბამისად „ირუნასთან“ და „ხერესთან“ შერცხვნენ, ხოლო დანარჩენმა ექვსმა მეტოქეები დაამარცხა. გამოსარჩევია „უელვას“ გამარჯვება „ალმეიდასთან“. ანდალუსიელებს ამ სეზონში გამარჯვების გემო დიდხანს არ ეგემათ და ერთბაშად ორჯერ გაიხარეს, თანაც სტუმრად. მათ ჯერ წინა უქმეებზე პამპლონაში „ოსასუნა“ დასცეს ესპანეთის ჩემპიონატის ტურში, ახლა კი კვლავ სტუმრად სათასო შეხვედრაშიც სასურველ შედეგს მიაღწიეს.

**ზურაბ რუბაყშვილი**

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა**
**XVII ტური**

**შტურმი 1:1 გრაცერი**

1:0 საბიჩი (11), 1:1 ბრუნმაირი (60)

შტურმი: ვებერი, მილინკა, შტრაფნერი, კორსოში, გოლეშიცი, ფეტლი, მახლუფი, საბიჩი, დ. მუზინი, ბოსნარი, ლაზო

მწვრთნელი: ფრანცო ფოდა

რაპიდი — კერნტენი 2:0; ბრეგენცი — აუსტრია 0:1; რიდი — ზალცბურგი 4:0; ადმირა ვაკერი — პაშინგი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 17 | 12 | 4 | 1 | 38:9 | 40 |
| პაშინგი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:18 | 28 |
| შტურმი | 17 | 8 | 2 | 7 | 26:28 | 26 |
| რიდი | 17 | 6 | 6 | 5 | 22:17 | 24 |
| რაპიდი | 17 | 6 | 5 | 6 | 21:18 | 23 |
| კერნტენი | 17 | 5 | 4 | 8 | 21:25 | 19 |
| გრაცერი | 17 | 4 | 7 | 6 | 19:24 | 19 |
| ბრეგენცი | 17 | 3 | 8 | 6 | 20:24 | 17 |
| ზალცბურგი | 17 | 4 | 5 | 8 | 14:26 | 17 |
| ადმირა | 17 | 4 | 5 | 8 | 17:33 | 17 |


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


## ინგლისი

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

**ვულვერჰემპტონი 1:1 პორტსმუთი**

0:1 მერსონი (56), 1:1 სტარიჯი (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 17 | 12 | 3 | 2 | 35:16 | 39 |
| ლესტერი | 16 | 10 | 4 | 2 | 25:14 | 34 |
| უოტფორდი | 17 | 9 | 4 | 4 | 24:23 | 31 |
| ნორვიჩი | 17 | 8 | 6 | 3 | 28:15 | 30 |
| ნოტინგემი | 16 | 8 | 5 | 3 | 29:15 | 29 |
| შეფილდი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:23 | 28 |
| ქოვენთრი | 17 | 7 | 6 | 4 | 22:20 | 27 |
| რედინგი | 16 | 8 | 2 | 6 | 20:14 | 26 |
| ვულვზი | 16 | 7 | 4 | 5 | 33:19 | 25 |
| დერბი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:22 | 24 |
| როტერჰემი | 17 | 6 | 5 | 6 | 29:22 | 23 |
| კრ. პალასი | 16 | 5 | 8 | 3 | 28:21 | 23 |
| ჯილინგემი | 17 | 6 | 5 | 6 | 19:24 | 23 |
| ბარნსლი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:31 | 22 |
| პრესტონი | 16 | 4 | 8 | 4 | 24:25 | 20 |
| უოლსოლი | 17 | 5 | 4 | 8 | 26:29 | 19 |
| უიმბლდონი | 17 | 5 | 4 | 8 | 20:25 | 19 |
| ბრედფორდი | 17 | 4 | 7 | 6 | 18:24 | 19 |
| მილუოლი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:27 | 19 |
| იფსვიჩი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:20 | 16 |
| სტოკი | 17 | 3 | 5 | 9 | 19:31 | 14 |
| გრიმსბი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:33 | 13 |
| უენსდი | 17 | 2 | 6 | 9 | 14:25 | 12 |
| ბრაიტონი | 15 | 2 | 1 | 12 | 14:32 | 7 |



REUTERS რომიდან

რომა — კომო. რიკარდო ალეგრეტიმ რომაელი ვენსან კანდელა წამოიკიდა

# გაფრენილან ვირები

## იტალია

### სერია A
### I გადადებული ტური

**მილანი 1:0 უდინეზე**

1:0 რივალდო (89)
ინძაგიმ ვერ გაიტანა პენალტი (90, ავილა)
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო (სერჯინიო 71), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (რივალდო 71), შევჩენკო (ტომასონი 84), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
უდინეზე: დე სანქტისი, კროლდრუპი, სენსინი, თ. მანფრედინი, ალბერტო, რისიტო, დ. პიძარო, პიერი (ბერტოტო 75), იორგენსენი, იანკერი (მუნტარი 59), მუცი (იაკინტა 83)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ალბერტო, მანფრედინი, მალდინი, პირლო
მსაჯი: ბერტინი
45 000 მაყურებელი

**ემპოლი 3:4 ინტერი**

0:1 კრესპო (5), 0:2 ძანეტი (11), 1:2 დი ნატალე (16), 1:3 რეკობა (50), 2:3 ვანუკი (60), 2:4 ადანი (85), 3:4 ტავანო (90)
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ატცორი, ლუკინი (კუპი 46), ჯამპიერეტი, გრელა (ვანუკი 53), ბუში, კაპელინი (ტავანო 53), დი ნატალე, როკი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
ინტერი: ტოლდო, ვივასი (ადანი 63), კორდობა, მატერაცი, კოკუ, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (ალმეიდა 72), ემრე, მორფეო, კრესპო, რეკობა (დალმა 87)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ვივასი, ძანეტი, რეკობა, ჯამპიერეტი, მორფეო
მსაჯი: პელეგრინო
12 714 მაყურებელი

**პიაჩენცა 0:1 იუვენტუსი**

0:1 ნედვედი (70)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკი, მანჩონე, კრისტალინი (გურენკო 76), რიჩი, მარესკა, დი ფრანჩესკო, ტრამეძანი (კაზა 76), ჰუბნერი, მონტანო (ტოსტო 66)
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
იუვენტუსი: ბუფონი, კ. ძენონი, ტურამი, იულიანო, მორეტი, კონტე (ბაიოკო 57), ტუდორი (ფერზე 59), ძამბროტა (ნედვედი 68), კამორანეზი, დელ პიერო, ზალაიეტა
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: უბნერი, მანჩონე, კარდონე, ზალაიეტა, მორეტი
მსაჯი: ტრეფოლონი
15 000 მაყურებელი

**რეჯინა 0:3 ლაციო**

0:1 პიერინი (17 ა.კ.), 0:2 სტანკოვიჩი (33), 0:3 კორადი (53)
რეჯინა: კასტელაცი, ჩიროლი, ტორანეკი, პიერინი, მორაბიტო, კოცა (დი მიკელე 69), პარედესი, მოცარტი, ნაკამურა, ბოგდანი (სავოლდი 45), რასტელი (მესტო 69)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
ლაციო: პერუძი, ოდო, ფ. კოუტო, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე (კ. მანფრედინი 79), სიმეონე, დ. სტანკოვიჩი (დ. ბაჯო 68), სორინი, კორადი, კ. ლოპესი (კასტრომანი 84)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ჩიროლი, ოდო, მიხაილოვიჩი
მსაჯი: ბიროლდი
23 000 მაყურებელი

**რომა 2:1 კომო**

1:0 დელვეკიო (18), 2:0 ტოტი (46), 2:1 გოლეაში (73)
რომა: პელიცოლი, ვ. სამუელი, დელასი (ძებინა 39), პანუჩი, სარტორი (კაფუ 90), გვარდიოლა (გუგუ 56), ემერსონი, ლიმა, კანდელა, ტოტი, დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
კომო: ფერონი, ტომაში (ბიელანოვიჩი 80), პადალინო, ბრევი, სტელინი, ბინოტო, კოჯ ალეგრეტი, ბუკი (კარბონე 16), მ. როსი (ბენინი 46), გოლეაში
მწვრთნელი: ლორის დომინისინი
გაფრთხილება: როსი, დელასი, ძებინა, ლიმა, ბრევი, კანდელა
მსაჯი: ბოლონინო
50 000 მაყურებელი

**კიევო 3:0 პერუჯა**

1:0 ლეგროტალიე (24), 2:0 დელა მორტე (27), 3:0 კორინი (51პ)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა (ლორენცი 74), ს. ლანა, დელა მორტე (დ. ანდერსონი 46), კორინი, პეროტა, დ. ფრანჩესკონი, ფ. კოსატო (მარაცინა 85), ბერნოტი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
პერუჯა: ს. როსი, დი ლორეტო, რეზაეი, მილანეზე, ზე მარია, ბლაზი, ობოდო (ლ. პალიუკა 36), ტედესკო (ფუზანი 49), გროსო (კარაჩოლო 36), ვრიზასი, მიკოლი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: მორო, კარაჩოლო, ანდერსონი, პალიუკა
მსაჯი: მესინა
11 556 მაყურებელი

**პარმა 4:3 ბრეშა**

0:1 აპია (13), 1:1 ფერარი (15), 1:2 ბაჯო (24), 2:2 მუტუ (26), 3:2 ბონაცოლი (52), 3:3 ბაჯო (58პ), 4:3 ჯილარდინო (74)
პარმა: ფრეი, ბენარივო, მ. კანავარო, ფერარი, ჟუნიორი, მატეო ბრიგი, ლამუში (ბარონე 60), ე. ფილიპინი, ნაკატა (ბრეშიანო 66), ბონაცოლი (ჯილარდინო 63), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ბრეშა: მიჩილო, ფ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, სერაჩი, ა. ფილიპინი, მატუზალემი, აპია, ბაჯონი (შოპი 82), რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: აპია, ლამუში, ჟუნიორი, ბენარივო
მსაჯი: მორგანტი
15 000 მაყურებელი

**ტორინო 2:1 ბოლონია**

1:0 კონტიკო (4), 1:1 ვანოლი (34პ), 2:1 პ. კასტელინი (89)
ტორინო: ბუჩი, დელი კარი, გალანტე, მეცანო, სომეზე (იასმანოვსკი 56), დე ასენტისი, ვერგასოლა, კონტიკო (სკარჩილი 76), პ. კასტელინი, კ. ლუკარელი, ფერანტე (მაგალიანესი 82)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, ძანჩი, მ. კასტელინი, პარამატი, ნერვო (სინიორი 89), ლ. კოლუჩი, ფრარა, ვანოლი (ბელუჩი 46), სალვეტი, დელა როკა (კ. ამორუზო 71)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: დელა როკა, ძანჩი, ამორუზო
მსაჯი: საკანი
10 000 მაყურებელი

**ატალანტა 1:3 მოდენა**

0:1 კოლუჩი (13), 0:2 კამარა (38), 0:3 მაური (76), 1:3 დაბო (89)
ატალანტა: ტაიბი, ნატალი, კარერა, სალა, ფოლიო (პინარდი 65), დ. ძენონი (გაუტიერი 46), ძაური, ბერეტა, ბელინი (დაბო 46), ბიანკი, კომანდინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, პავანი, პონცო, ჯ. კოლუჩი (კამპედელი 80), ალბინო, მაური, ბალესტრი, დ. კამარა (ფაბრინი 55), სკული (ძამბონი 73)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: ბალოტა
მსაჯი: დონდარინი
12 000 მაყურებელი

„ინტერმა" სამქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა, ოღონდ ეს 4:3-ად დაუჯდა. გვარიანი წვალებაა, ხომ მართალია?

„შავ-ლურჯების" მასპინძელი „ემპოლი" გახლდათ, ხოლო ეს შეხვედრა, წესითა და რიგით, ისევე როგორც დღის სხვა მატჩები, პირველ ტურში უნდა გამართულიყო.

საინტერესოა, რომ მილანელები მე-11 წუთზე უკვე 2:0-ს იგებდნენ — გოლები ერნან კრესპომ და ხავიერ ძანეტიმ გაიტანეს — მაგრამ „ემპოლიმ" გათანაბრება გაბედა. ამის მერე ისევ „შავ-ლურჯები" დაწინაურდნენ, ამჯერად ალვარო რეკობას მეცადინეობით, რასაც მცველმა დანიელე ადანიმ მეოთხეც დაამატა, მაგრამ მსაჯის წამატებულ წუთებში გათავხედებულმა „ემპოლიმ" სხვაობა კვლავ ერთ ბურთამდე შეამცირა და ზედაც ისეთი პრესინგი მიაყოლა, რომ საფინალო სასტვენი იტალიური ფეხბურთის გრანდს შვებად ეჩვენა.

ჩემპიონი „იუვენტუსი" პიაჩენცადან გამარჯვებული დაბრუნდა. ერთადერთი გოლი თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ჩეხმა პაველ ნედვედმა შეაგდო. მომენტი მასპინძლებსაც ჰქონდათ — პირველი ტაიმის შუაში საჯარიმო დარტყმით ენცო მარესკამ ბურთი ძელს გაარტყა, მაგრამ ბურთის ძელისთვის გარტყმა ლამაზია და მეტი არაფერი. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბებერი ქალბატონი" „პიაჩენცას" კართან მაინცდამაინც ვერ ერგვინავდა.

„რომამ" „კომოს" მოუგო, თან ისე, რომ უპირატესობა თავიდანვე ჩაიგდო ხელთ — ანგარიში მარკო დელვეკიომ გახსნა. შემდეგ ფრანჩესკო ტოტის ჯერი დადგა, ოღონდ გუნდის თილისმამ ჯერ რამდენიმე შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან და მხოლოდ ამის მერე, მეორე ტაიმის დასაწყისში მიაღწია მიზანს. 73-ე წუთზე „კომომ" ერთით უპასუხა, თავი დენის გოლეაშმა გამოიჩინა, მაგრამ ამან საბრალო სტუმრებს ვერაფერი შესძინა. როგორც იყვნენ, მოგების გარეშე, ისევე დარჩნენ.

„კიევო" კი კვლავ გაფრინდა, თან ვირულად, უტიფრად, ამა ქვეყნის ძლიერთა დაურიდებლად. ამჯერად „მფრინავმა ვირებმა" სერსე კოზმის „პერუჯა" დაიბრიყვეს და ახლა, ლუიჯი დელ ნერის შეგირდებს უკვე ხუთი გამარჯვება აქვთ.

ბევრგოლიანი გამოდგა „პარმასა" და „ბრეშას" თამაშიც. ოთხი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს, სამი სტუმრებმა. ანგარიში სწორედ სტუმრებმა გახსნეს, საწადელს სტეფან აპიამ მიაღწია, მაგრამ ორ წუთში მატეო ფერარიმ გაქვითა. ამის მერე ისევ „ბრეშა" დაწინაურდა, თერთმეტი მეტრიდან ბრძენთაბრძენმა რობერტო ბაჯომ გაიტანა, თუმცა სტუმრების უპირატესობა კვლავ ასოცწამიანი გამოდგა — ახლა რუმინელმა ადრიან მუტუმ გაათანაბრა.

შემდეგ კი „პარმას" ინიციატივის ჯერი დადგა: ემილიანო ბონაცოლის ხომ იცნობთ? მან გამოიჩინა თავი, თუმცა გაირკვა, რომ თავი რობერტო ბაჯოსაც აქვს და ზუსტადაც არტყამს — 3:3.

ბოლო გოლი 74-ე წუთზე გავიდა. მუტუს ფრიადი დახმარებით ალბერტო ჯილარდინომ სამი ქულა პარმაში დატოვა.

„ლაციომ" ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვა, ამჯერად რეჯო კალაბრიაში და თან სამგოლიანი უპირატესობით, ხოლო „ტორინომ" „ბოლონიას" უმასპინძლა, 2:1 აჯობა (გადამწყვეტი გოლი საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე პაოლო კასტელინიმ შეაგდო) და ბოლოდან ცოტა აეფხვლა.

ხოლო „მოდენა" დიდი ყოჩაღი გუნდი გამოდგა, ამ სეზონში უკვე მეოთხედ მოიგო, მას ბერგამოში მასპინძელი „ატალანტა" ემსხვერპლა და, თან შთამბეჭდავად, 1:3.

პო, რეჯო კალაბრიაში „ლაციოს" გამარჯვებამ მასპინძელთა მწვრთნელი ბორტოლო მუტი შეიწირა.

**ბაჩუნა ძიძია**


REUTERS რომიდან

„რომამ" მარკო დელვეკიოს და ფრანჩესკო ტოტის გოლებით მოიგო

### სერია B
### I გადადებული ტური

**ანკონა 1:1 ვერონა**
1:0 გრაფიედი (36პ), 1:1 ილანა (89პ)

**ბარი 0:0 ტრიესტინა**

**კალიარი 1:0 ვენეცია**
1:0 კამარატა (70)

**კატანია 0:2 ნაპოლი**
0:1 დიონიჯი (32პ), 0:2 სესა (82)

**კოზენცა 1:2 პალერმო**
0:1 მორონე (6), 0:2 მანიერო (75პ), 1:2 ედუსეი (87)

**სალერნიტანა 1:2 ასკოლი**
0:1 ბრუნო (16), 1:1 ბაჯო (36), 1:2 მონტესანტო (72)

**სიენა 0:0 ლეჩე**

**ტერნანა 1:0 მესინა**
1:0 ბორგობელო (37)

**ვიჩენცა 1:0 ჯენოა**
1:0 ძანეტი (34)

**სამპდორია — ლივორნო**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალიარი | 9 | 5 | 3 | 1 | 10:6 | 18 |
| ტერნანა | 9 | 5 | 2 | 2 | 10:6 | 17 |
| პალერმო | 9 | 5 | 1 | 3 | 13:12 | 16 |
| ანკონა | 9 | 3 | 6 | 0 | 13:8 | 15 |
| ლივორნო | 8 | 5 | 0 | 3 | 10:5 | 15 |
| სამპდორია | 8 | 3 | 5 | 0 | 11:7 | 14 |
| ლეჩე | 9 | 3 | 5 | 1 | 12:9 | 14 |
| სიენა | 9 | 3 | 5 | 1 | 6:4 | 14 |
| ტრიესტინა | 9 | 3 | 4 | 2 | 11:8 | 13 |
| ასკოლი | 9 | 3 | 3 | 3 | 7:7 | 12 |
| ბარი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:5 | 11 |
| ნაპოლი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 10 |
| კოზენცა | 9 | 3 | 1 | 5 | 7:10 | 10 |
| ვერონა | 9 | 2 | 3 | 4 | 12:12 | 9 |
| ჯენოა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| ვენეცია | 9 | 2 | 3 | 4 | 7:11 | 9 |
| კატანია | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | 9 |
| მესინა | 9 | 2 | 2 | 5 | 10:13 | 8 |
| ვიჩენცა | 9 | 1 | 4 | 4 | 11:17 | 7 |
| სალერნიტანა | 9 | 2 | 0 | 7 | 8:17 | 6 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ინტერი | 8 | 7 | 1 | 0 | 18:7 | 11 | 22 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 10 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:5 | 7 | 12 |
| 2 მილანი | 8 | 6 | 1 | 1 | 22:5 | 17 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:0 | 12 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 7 |
| 3 იუვენტუსი | 8 | 5 | 3 | 0 | 12:4 | 8 | 18 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 8 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 10 |
| 4 ლაციო | 8 | 5 | 2 | 1 | 15:7 | 8 | 17 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 5 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 12 |
| 5 კიევო | 8 | 5 | 0 | 3 | 14:9 | 5 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 |
| 6 რომა | 8 | 4 | 2 | 2 | 18:13 | 5 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 7 |
| 7 პარმა | 8 | 3 | 3 | 2 | 14:12 | 2 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 3 | 10 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 |
| 8 ბოლონია | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 9 მოდენა | 8 | 4 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 |
| 10 ემპოლი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:13 | -1 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 |
| 11 ბრეშა | 8 | 2 | 2 | 4 | 13:16 | -3 | 8 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 7 |
| 12 უდინეზე | 8 | 2 | 2 | 4 | 4:9 | -5 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 8 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | -7 | 0 |
| 13 პერუჯა | 8 | 2 | 2 | 4 | 9:16 | -7 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:13 | -9 | 2 |
| 14 პიაჩენცა | 8 | 2 | 1 | 5 | 7:12 | -5 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 15 ტორინო | 8 | 2 | 0 | 6 | 5:15 | -10 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | -9 | 0 |
| 16 რეჯინა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 17 კომო | 8 | 0 | 4 | 4 | 5:12 | -7 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 18 ატალანტა | 8 | 1 | 1 | 6 | 7:16 | -9 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | -4 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |

**IX ტური**
**10 ნოემბერი**

| | | |
|---|---|---|
| ბოლონია | - | კომო |
| ბრეშა | - | ემპოლი |
| კიევო | - | ატალანტა |
| ინტერი | - | უდინეზე |
| იუვენტუსი | - | მილანი |
| ლაციო | - | პარმა |
| პერუჯა | - | ტორინო |
| პიაჩენცა | - | რომა |
| რეჯინა | - | მოდენა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 7 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 7 |
| ვიერი (ინტერი) | 7 |
| რ. ბაჯო (ბრეშა) | 5 |

# შეზარხოშებულმა ალქაჯებმა არმიელებისთვის იფრინეს

## იტალიის ჩემპიონატი

პირველი გადადებული ტურის მატჩი

**მილანი 1:0 უდინეზე**

კახა კალაძე: 90 წუთი



ფილიპო ინძაგი: პენალტს აღარასდროს დავარტყამ!

# დიდი მატჩის წინ დაიფიცეს: რივალდომ იუვენტუსი, ინძაგიმ პენალტი

**ძალიან** გაუჭირდათ „შავ-წითლებს" „უდინეზეს" ძლევა, რომ არა რივალდო, მისი ჯარიმიდან ჩაკიდული ბურთი, უდინელ ნესტორ სენსინის თავთან რომ ჩაუქროლა და ბადეში გაეხვა, წლევანდელ სერიაში „მილანი" პირველ საშინაო ქულებს დაკარგავდა.

ლუჩანო სპალეტის გაწვრთნილები მთელი გუნდით იცავდნენ თავს, მეკარე მორგან დე სანტისიც ჩინებულად ირჯებოდა, წინ კი ერთადერთი რობერტო მუცი თუ აწუხებდა შიგადაშიგ მილანელ მცველებს.

პირველ ტაიმში „უდინეზემ" გოლიც გაიტანა, მაგრამ მარტინ იორგენსენს გახარება არ აცალეს, ოფსაიდიდან შეგდეო, ანიშნა გვერდითმა მსაჯმა.

„მილანი" კი აწვებოდა, თუმც სტუმართა კარს ბოლოსწინა წუთამდე გასაღები ვერ მოარგო. ისიც სათქმელია, რომ მასპინძელთა შეტევებს ეფექტურობა აკლდა, ანდრეი შევჩენკო და ფილიპო ინძაგი ყველა ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ საჯარიმოში შეღწეულები მუდამ გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ.

„მთავარია, სამი ქულა მივითვალეთ. მეტოქეს ძლივს გამოვგლიჯეთ გამარჯვება. „უდინეზემ" კი გამაოცა. ბიჭებმა ბრწყინვალე საჩუქარი მომიძღვნეს იუბილეზე, დღეს ხომ ერთი წელი შესრულდა, რაც „მილანის" მწვრთნელი ვარ — თქვა კარლო ანჩელოტიმ — მაგრამ ჩემი გონება და ფიქრი ახლა „იუვენტუსთან" საშაბათო მატჩს დასტრიალებს. დღევანდელმა მოგებამაც დიდი მატჩისთვის ფსიქოლოგიურად მოგვამაგრა."

ტურინელებთან დაპირისპირებაზე ფიქრობენ „მილანის" ფეხბურთელებიც, მაგრამ იტალიელმა ჟურნალისტებმა ზოგიერთებს „უდინეზესთან" მატჩზეც ათქმევინეს ორიოდ სიტყვა.

ბრაზილიელი რივალდო დარწმუნებული ყოფილა, ბურთი სენსინის თავმა კი აისხლიტა, თუმც კარში ისედაც აუცილებლად შევარდებოდაო. რივალდო სამ ქულას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და „იუვენტუსს" იქით ემუქრება — ტურინში სანახაობრივადაც მაგარი თამაში იქნება და მჯერა, მოვიგებთო.

ფილიპო ინძაგიმ დაამუხრუჭა, არადა, შეეძლო მსაჯის წამატებულ წუთზე პენალტი გაეტანა, თერთმეტმეტრიანიდან კი პიპომ იმისთანა ძალით ამოსცხო ბურთს ფეხი, კარს კი არა, ლამის ტრიბუნებსაც აცილა: „პირლოს ვთხოვე, დავარტყამ-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიტანდი და თამაშიც ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე დასრულდებოდა. დავარტყი და... ასეთი იალლიში მეორედ შემემთხვა. ახლა კი ყველამ იცოდეს, ფილიპო ინძაგი პენალტს აღარასოდეს დაარტყამს!"

„მილანის" შტატიანმა პენალტისტმა ანდრეა პირლომ კი ეს თქვა: „დიახ, პიპომ თავად მთხოვა, დავარტყამო. იგი ფორვარდია და გოლებიც სჭირდება, უარიც არ მითქვამს. არა უშავს, ასეც ხდება. მთავარია, მოვიგეთ და ახლა „იუვენტუსს" თავს შევაკლავთ. „იუვე" მშვიდი და თავდაჯერებული გუნდია, მაგრამ თუ ჩვენ ძალა მოვიკრიბეთ და გავბრაზდით, ერთი კი არა, სამი „იუვენტუსი" ვერ დაგვიდგება წინ."

უკრაინელი ანდრეი შევჩენკო თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე დანიელმა იონ დალ ტომასონმა შეცვალა. „შევა" კი აწუხებდა სტუმართა მცველებს, მაგრამ რეალურად დე სანტისის კარს სულ ორჯერ დაემუქრა, ერთხელ, როცა საჯარიმოში სიჩქარეაკრეფილი მცველებმა მოცელეს და მეორედ მისმა თავურმა სანტიმეტრებში რომ ჩაუარა კარის ძელს: „ჩაკეტილი ფეხბურთი გვეთამაშნენ, მაგრამ მაინც დამსახურებულად მოვუგეთ. გოლის გატანა ძალიან მინდოდა. რაც შეეხება ჩემს წაქცევას, არბიტრს პენალტი უნდა დაენიშნა, მე არამარტო ხელით მიჭერდნენ, არამედ ფეხებშიც მირტყამდნენ. მსაჯთან არც მიკამათია, ეს ჩემი საქმე არაა და უბრალოდ, აზრიც არ ჰქონდა."

კახა კალაძემ „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტებისგან უჩვეულოდ დაბალი, 5,5 შეფასება მიიღო, ვარდისფერმა გაზეთმა ყველაზე მაღალი ქულა კი რივალდოს დაუწერა — შემოვიდა, გაიტანა და შეიძიანიც ალალძაო.

ერთი სიტყვით, შაბათს „იუვენტუსი" — „მილანია", დიდი მატჩი „დელე ალპიზე".

**გიორგი გუგაძიძე**

## რუსეთი

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

**ალანია 1:1 ლოკომოტივი**

1:0 აშვეთია (10), 1:1 პიმენოვი (22)

ალანია: გაბულოვი, პაგაევი, თეთრაძე, ტაგაევი, ტარლოვსკი, ბაზაევი, ბითაროვი (ბესტაევი 65), კუსოვი, სვიდერსკი, აშვეთია, დემეტრაძე

მწვრთნელი: ბახვა თედეევი

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, სენიკოვი, პაშინინი, ობრადოვიჩი, ევსეევი, მამინოვი, ლოსკოვი, პიმენოვი, ბუზნიკინი (ობიორა 58, ჟულიო სეზარი 82)

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: ობრადოვიჩი, სენიკოვი, პაგაევი, დემეტრაძე, ნიჟეგოროდოვი, ლოსკოვი

მსაჯი: ლაპოჩკინი

20 000 მაყურებელი

**ვლადიკავკაზური** ფრე „ლოკომოტივს" შეიძლება ძვირად დაუჯდეს. საჩემპიონოდ შემართულმა დედაქალაქელებმა „ალანიასთან" გადადებული მატჩი გამართეს.

მეტოქეებს ამ სეზონში განსხვავებული მიზნები აქვთ. მოსკოველები პირველობისთვის იბრძვიან, ოსური გუნდი კი ლიგაში დარჩენას ლამობს. აქედან გამომდინარე, ჩემპიონატის ბოლოს ყოველ ქულას გასკეცებული ფასი აქვს.

სწორედ ძვირფასი ქულების გაყოფის გამო გაჩაღდა ვლადიკავკაზში ცოცხალი ფეხბურთი. მასპინძელთაგან განსაკუთრებით გიორგი დემეტრაძე გამოირჩეოდა. ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ შეხვედრაში ბლომად ოფლიც ღვარა და ოვჩინიკოვს არაერთხელ გააჟრჟოლა ტანში მისი დარტყმულის შემდეგ.

„ლოკომოტივი" იმ გუნდს არ ჰგავდა, სტამბოლში „გალათასარაის" რომ მოუგო.

დებიუტში მოქიშპეებმა ერთურთის კოჭები დაზვერეს, მერე კი ბურთი ისე დაქროდა მოედანზე, თითქოს ზედ შეზარხოშებული ალქაჯები სხედანო.

პირველად გაბულოვს მოუხდა ევსეევის მზაკვრული დაკრულის მოგერიება. დამხვდურები ჩხვლეტამ გაამწარა და „ლოკომოტივის" დაცვას საფუძვლიანად შეუჩნდნენ. სტუმართა საჯარიმო აალდა. დემეტრაძეს ოვჩინიკომა ახლოდან გასროლილი აულო. ორიოდ წუთში კი აშვეთიამ ოდნავ წინ გამომხტარი მეკარე დალანდა და საჯარიმოს გარედან ბურთი კარში დააბანდა.

გოლის შემდეგ „ალანიას" შეტევები არ განელებულა. სტუმრები მოთენთილნი ჩანდნენ. მასპინძლებმა თითქმის ყველა ორთაბრძოლაში დაჩაგრეს მეტოქე, მაგრამ საპასუხო მაინც მოულოდნელად გაუშვეს. სიღრმიდან მიღებული პასი პიმენოვმა შეირგო და გაათანაბრა.

იქვე მოსკოველებს დაწინაურებაც შეეძლოთ. ბუზნიკინი გაბულოვს პირისპირ შეეჩეხა, თუმცა მეკარემ იყოჩაღა. ალანიელი კუსოვი ვალში არ დარჩენილა, მისმა თავურმა ხარიხის სიახლოვეს გაიელვა. თამაში გაიხსნა და ორივე კართან ხიფათი ხიფათზე იქმნებოდა. პირველი ტაიმის მიწურულს დამხვდურებმა სტუმრების კარსაცავი აჩოჩქოლეს. აშვეთიას დუბლის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა გააცუდა.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა" სადავეების ჩაგდება მოინდომა. „ალანიამ" ეს წამოწყება ჩანაფიქრშივე მოაშთო და ქართული დუეტით სტუმრებს რისხვა დაატეხა. ისევ აშვეთიამ, მერე კი ორჯერ დემეტრაძემ აუჩქროლეს გული ოვჩინიკოვს. დემეტრაძეს ძალიან ეწადა ყოფილი გუნდის გამწარება. 81-ე წუთზე პაშინინმა იგი საპენალტედაც დასცა, თუმც მსაჯმა მომხდური დაინდო. სამი ქულის აღება „ალანიას" მაინც შეეძლო. ბოლო წამებზე დემეტრაძემ სასწაულებრივ ვერ გაიტანა. მისი დაკრული ძელს გაეხახუნა.

მოპოვებული ქულით მასპინძლებმა მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესეს და ახლა მეზობლად, მახაჩყალაში „ანჟისთან" დიდი ჯაჯგური ელით, რადგან დაღესტნელები გავარდნის უმთავრესი კანდიდატები არიან. რაც შეეხება „ლოკომოტივს", მას ვლადიკავკაზში დაკარგულის ამოღება „ზენიტთან" მოუწევს, თან ცალი თვალი ცსკა — „სპარტაკის" მატჩისკენ უნდა ეჭიროთ.



რუსლან პიმენოვის გოლმა „ლოკომოტივს" სულზე მიუსწრო

**გაჩა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 28 | 19 | 3 | 6 | 55:25 | 60 |
| ლოკომოტივი | 28 | 17 | 9 | 2 | 42:12 | 60 |
| სპარტაკი | 28 | 16 | 7 | 5 | 48:33 | 55 |
| ტორპედო | 28 | 13 | 7 | 8 | 45:31 | 46 |
| სატურნი | 28 | 13 | 7 | 8 | 40:33 | 46 |
| კრილია | 28 | 14 | 3 | 11 | 37:31 | 45 |
| დინამო | 28 | 12 | 5 | 11 | 37:31 | 41 |
| შინიკი | 28 | 11 | 8 | 9 | 37:36 | 41 |
| ზენიტი | 28 | 8 | 9 | 11 | 34:38 | 33 |
| როტორი | 28 | 9 | 5 | 14 | 24:34 | 32 |
| როსტსელმაში | 28 | 7 | 9 | 12 | 28:46 | 30 |
| ურალანი | 28 | 6 | 11 | 11 | 32:39 | 29 |
| ალანია | 28 | 7 | 6 | 15 | 30:41 | 27 |
| ზილ | 28 | 5 | 10 | 13 | 18:37 | 25 |
| სოკოლი | 28 | 5 | 7 | 16 | 22:41 | 22 |
| ანჟი | 28 | 4 | 10 | 14 | 21:42 | 22 |

# ნათლობა

## ბიჭებო, კვერცხი, მაგ კვერცხთავა შაშს

## თურქეთი

გადადებული მატჩები

**ფენერბაჩე 6:0 გალათასარაი**

**დენიზლი 2:2 ბურსა**

**როცა** „ფენერბაჰჩე" — „გალათასარაის" მატჩი იწყება, ფეხბურთი მთავრდება. სტამბოლური დერბის დღეს ჩხუბი სამჯერ დღეში ჭამის შემდეგ შეიძლება. ეს მატჩამდე, თამაშის შემდეგ კი დაკა-დაკა რომ არ ატყდეს, უბრალოდ ალაჰს ეწყინება.

ცალკე ამბავია „გალათასარაისა" და „ფენერბაჰჩეს" ფანების განცალკევება სტადიონზე. საამისოდ ერთი სპეცდანიშნულების რაზმია გამოყოფილი. ასე იყო ამჯერადაც. „წითელ-ყვითლები" („გალას" ფერებია) როგორღაც გამოყვეს „ლურჯ-ყვითლებისგან" („ფენერის" ფერები) მაგრამ...

ორივე გუნდმა ევროსარბიელზე თავი ვერაფრით გამოიჩინა. ამიტომ შიდადაპირისპირება უფრო გამწვავდა. „ფენერბაჰჩეს" წყალშემდგარ გერმანელ მწვრთნელ ვერნერ ლორანტს, მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა.

ლორანტმა მოიგო, თან უბრალოდ კი არა, ფათიჰ თერიმს გვარიანი სირცხვილი აჭამა.

„ფენერის" ფანთა ჯილამ, არიელ ორტეგამ მეცხრე წუთზე კუთხური ჩააწოდა და თუნჯაის თავურმა მონდრაგონის კარი დალაშქრა. ტაიმის მიწურულს თვითონ ორტეგას თავმაც ივარგა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

სანამ მოედანზე ეს ამბები ხდებ და, ამ დროს ტრიბუნებიდან ცვიოდა ...ლაფერი: ბოთლები, ტელეფონები, ნაირ-ნაირი საგნები. ერთ ეპიზოდში, კუთხურის ჩაწოდებისას, ჰასან შაშის მოელვარე თავს კვერცხმაც კი მიაგნო. ორმოცდამეოთხე წუთზე, ვიღაც ფენერელმა ფანმა დანაც კი ისროლა, რომელიც „ფენერბაჰჩეს" სათადარიგოთა სკამის წინ დაერჭო. გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ქემალ დინჩერმა, არიქა, კომისარმა არ დაინახოსო, დანა მიჩქმალა, მაგრამ კამერებმა ნამატჩევს გაყიდეს. შესვენების შემდეგ გასახდელიდან გამოსულ ფათიჰ თერიმსაც უთავაზეს ბოთლი.

მეორე ტაიმში „გალათასარაი" გამოცოცხლდა, არიფი რუშთუსთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ ვერ აჯობა. მალე უხეშობისთვის არიელ ორტეგა მიაბრძანეს მოედნიდან, რამაც „ფენერბაჰჩეზე" კარგად იმოქმედა და ცხრამეტწუთიან მონაკვეთში ოთხჯერ გამოატანინეს ბურთი კარიდან მონდრაგონს.

სტამბოლურ დერბიში პირველად ითამაშეს კრისტიანმა და ფაბიო პინტუმ „გალათასარაიდან", ხოლო ორტეგამ, ვაშინგტონმა, სტევიჩმა და თუნჯაიმ „ფენერბაჰჩედან". დერბიში დებიუტს თურქები ნათლობას უწოდებენ, მაგრამ ნამდვილად მონათლული ისაა, ვინც საზიზღარი მეტოქის კარში გოლს გაიტანს.

თურქეთში ახლახან გამართულ არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი, რეჯეფ ერდოღანი „ფენერბაჰჩეს" ქომაგი ყოფილა და „ლურჯ-ყვითელ" ტრიბუნებს სათანადო ლოზუნგებიც არ აკლდა. მაგალითად: „თურქეთის პრემიერმინისტრობა ფენერბაჰჩელს უხდება!" სამაგიეროდ, „გალას" ფანობა მოქიშპეებს მაზოლზე აჭერდა ფეხს და „პანათინაიკოსთან" ფრის გახსენებით ახელებდა.

სტადიონზე მომხდარი არეულობების გამო მასპინძლებს გვარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევთ, მაგრამ „გალათასარაის" განადგურება ნებისმიერ თანხად ღირთ.

**როზან თურძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 11 | 8 | 2 | 1 | 21:12 | 26 |
| გაზიანთეფი | 11 | 6 | 5 | 0 | 21:11 | 23 |
| ბეშიქთაში | 10 | 6 | 4 | 0 | 16:7 | 22 |
| ფენერბაჰჩე | 10 | 5 | 4 | 1 | 22:12 | 19 |
| ტრაბზონი | 11 | 5 | 4 | 2 | 11:6 | 19 |
| გენჩლერ | 11 | 5 | 3 | 3 | 23:14 | 18 |
| ანკარაგიუჯიუ | 11 | 5 | 2 | 4 | 14:11 | 17 |
| მალათია | 11 | 4 | 4 | 3 | 21:16 | 16 |
| სამსუნი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:14 | 15 |
| ადანა | 11 | 3 | 5 | 3 | 15:12 | 14 |
| დენიზლი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | 13 |
| ისთანბული | 11 | 3 | 3 | 5 | 11:16 | 12 |
| ბურსა | 11 | 2 | 5 | 4 | 16:19 | 11 |
| ელაზიგსფორი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:19 | 11 |
| გიოზთეფე | 11 | 2 | 4 | 5 | 14:21 | 10 |
| ალთაი | 11 | 2 | 2 | 7 | 13:26 | 8 |
| დიარბაქირი | 11 | 1 | 3 | 7 | 7:20 | 6 |
| ქოჯაელი | 11 | 1 | 1 | 9 | 11:22 | 4 |



REUTERS

კარლეს პუიოლი ლუის ვან გაალმა ახლებურად დაარიგა

# აი, გუნდი!

## ბარსელონელებმა ფული თასებით მოითხოვეს

„ჩემი მიზანი ყოველთვის „ბარსელონაში" თამაში და ამ კლუბისთვის თავდადება იყო. ძალიან მიხარია, რომ ამის საშუალება კვლავაც მექნება" — განაცხადა კარლეს პუიოლმა კატალონიურ კლუბთან ახალი კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ.

24 წლის მცველი „ბარსას" აღზრდილია და კლუბში 1999 წლიდან თამაშობს. ამ სეზონის წინ კი, კარლესმა „ბარსელონას" ხელმძღვანელობას ახალი, უფრო სარფიანი კონტრაქტი მოსთხოვა. ხელშეკრულების თანახმად, მარჯვენა მცველი „კამპ ნოუზე" 2007 წლამდე დარჩება.

კატალონიურ კლუბში კიდევ ერთი სიახლეცაა, რომელიც „ბარსას" მენეჯერმა ხავიერ პერეს ფარგეელმა, ძალიან მნიშვნელოვან და პოზიტიურ ნაბიჯად შეაფასა. საქმე კლუბში პრემიების გაცემას, უფრო სწორად კი პრემიების გაცემის ახალ სისტემას შეეხება.

ახალი სისტემა „ბარსელონას" ჯიბისთვისაც სარფიანად მოსჩანს. ამიერიდან თავად ფეხბურთელების მოთხოვნით ბონუსები მხოლოდ ტიტულების მოგებისთვის დარიგდება და არა რომელიმე ტურნირის, ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგის ერთი ეტაპის გადალახვისთვის, როგორც აქამდე იყო. კლუბის ინფორმაციით, ფეხბურთელებმა ეს ახალი წესი უფრო მეტი კონცენტრაციისთვის მოინდომეს. „ბარსას" ხომ 1999 წლიდან მოყოლებული არაფერი მოუგია.

ამ სეზონში კი კატალონიური კლუბის მოთამაშეებს ორი დიდი ბონუსის მოპოვება შეუძლიათ — პრიმერადივიზიონის და ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის. პრიმერადივიზიონისთვის 6 მილიონი ევრო, ჩემპიონთა ლიგისთვის კი ოთხი მილიონით მეტის.

**სერგი ჭორიძე**

# საუკეთესო გენუელის უკანასკნელი თხოვნა



**42 წლისა** გარდაიცვალა „ჯენოას" ყოფილი კაპიტანი ჯანლუკა სინორინი.

სინორინის დებიუტი სერია A-ში 1987 წელს „რომას" შემადგენლობაში შედგა. მომდევნო წელს ცენტრალური მცველი „ჯენოაში" გადაბარგდა, სადაც კაპიტნის სამკლავურიც მოირგო. მისი საუკეთესო მიღწევა 1992 წელს უეფას თასის მეოთხედფინალში „ლივერპულის" ძლევა გახდა. მაშინ „ჯენოა" ნახევარფინალში „აიაქსმა" შეაჩერა. კარიერა კი სინორინმ 1995 წელს დაასრულა.

შარშან ათეროსკლეროზით დაავადებული ფეხბურთელისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო მატჩზე 25 ათასი მაყურებელი მივიდა. იმ მატჩის შემოსავალი სინორინის მკურნალობისა და მისი 4 შვილის ანგარიშზე გადაირიცხა.

სინორინის, ვისაც „ჯენოას" ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევენ, მშობლიურ ქალაქ პიზის მახლობლად დაკრძალავენ. ყოფილი ფეხბურთელის მეუღლის თქმით, ჯანლუკას ბოლოს წუთებში „ჯენოას" მაისურის ჩაცმევა მოუთხოვია.

**სერგი ჭორიძე**

# ფანტაზია და მარჯვე ბუცები

## ამბობენ, გოლს კომპიუტერი ჩათვლისო

**ტექნიკის** განვითარებას და ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს, რას აღარ მოიფიქრებენ. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში მაშინვე დარწმუნდებით (თუ აქამდე არ გჯეროდათ), როცა კომპანია „კაიროს ტექნოლოჯის" ახალი გამოგონების შესახებ შეიტყობთ.

როგორც ჩანს, კომპანიის მუშაკებში ბევრი ფეხბურთის ფანი ურევია, რომელთაც ნერვებს უწეწავს თამაშის დროს მსაჯების მიერ დაშვებული შეცდომები და დამნაშავეთა დაუსჯელობა, თუ უდანაშაულოთა დასჯა. ამიტომაც მათ ახალი სისტემა შეიმუშავეს, რომელიც მოედანზე ფეხბურთელებისა და ბურთის მოძრაობას აკონტროლებს.

სისტემა მთლიანად კომპიუტერიზებულია და მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: ფეხბურთელების ბუცებში და ბურთში დამონტაჟებული გადამცემი მოწყობილობანი სიგნალს გადასცემს მოედნის გარშემო აღმართულ ათიოდე ანტენას, საიდანაც მთელი ინფორმაცია თავს იყრის ცენტრალურ კომპიუტერში, ეს უკანასკნელი კი წამის რამდენიმე მეათიათასედ ნაწილში ცნობებს აწვდის შეხვედრის მსაჯს. მიღებული ინფორმაცია ძირითადად შეეხება იმას, მოხვდა თუ არა რომელიმე ფეხბურთელი თამაშგარეში ან გადაკვეთა თუ არა ბურთმა გვერდითი ან კარის ხაზი. ამ სისტემის მეშვეობით მსაჯებს საშუალება ექნებათ, სწორად შეაფასონ ნებისმიერი სიტუაცია.

აღნიშნული სისტემის გამოცდას გერმანული „ნიურნბერგის" სტადიონზე დაიწყებენ ამ ზამთარს. კომპანია „კაიროსის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ისინი შეძლებენ, ფიფა ახალი ტექნოლოგიის სიკეთეში დაარწმუნონ და მას მწვანე შუქს უკვე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე აუნთონ.

„კაიროსის" სისტემას მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები გაეცნენ. ლივერპულის უნივერსიტეტის მკვლევარ მარკ უილიამსის აზრით, სისტემა მისაღებია ფეხბურთელთა ვარჯიშის დროს გამოსაყენებლადაც. მას, ზემოაღნიშნული შესაძლებლობების გარდა, შეუძლია, ფეხბურთელის პულსის სიხშირეც განსაზღვროს.

თუმცა თამაშის დროს სისტემის გამოყენებამ შესაძლოა გარკვეული სირთულეებიც გამოიწვიოს. ადვილი შესაძლებელია, მსაჯებმა არ გაითვალისწინონ კომპიუტერის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და ეს კამათის კიდევ ერთი საბაბი გახდეს.

როგორ შეფასებას მისცემს ფიფა „კაიროსის" გამოგონებას, დრო გვიჩვენებს, ჩვენი აზრით კი ზოგიერთ მსაჯს, განსაკუთრებით კორეა-იაპონიის მუნდიალის შემდეგ, ნამდვილად სჭირდება მოკარნახე კომპიუტერები.

**ნინო ძადამიშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**პორტუგალიის** ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ანტონიუ ოლივეირა გუნდს კიდევ ერთი, უახლოესი ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებს. ახალი მწვრთნელის ვინაობა კი თებერვალში გაირკვევა. რაც შეეხება უახლოეს ამხანაგურ მატჩს, პორტუგალია 20 ნოემბერს შოტლანდიას ხვდება.

**დანიის ნაკრების მწვრთნელის მორტენ ოლსენის თქმით, მისი გუნდი 30 აპრილს საკუთარ მოედანზე უკრაინელებთან ამხანაგურ მატჩს გეგმავს. „უკრაინა საკმაოდ ძლიერი გუნდია, რომელსაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად სულ ცოტა დააკლდა" — განაცხადა ოლსენმა. მისი თქმით, დანიას გაისად ეგვიპტელებთან და ფინელებთანაც აქვს დაგეგმილი ამხანაგურად წაბურთავება.**

**იტალიურმა** სასამართლომ დიეგო მარადონას ადვოკატების აპელაცია არ მიიღო. შეგახსენებთ, რომ ნეაპოლის საგადასახადო სამსახური არგენტინელს გადასახადების დამალვაში ადანაშაულებს. იტალიური მართლმსაჯულების მასალებით, მარადონას „ნაპოლიში" თამაშისას, ბიუჯეტისთვის 28 მილიონი ევროს ოდენობის თანხა დაუმალავს.

**გერმანიის საფეხბურთო კავშირი კორპორაცია „დოიჩე ტელეკომთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს, რადგან კომპანიას კავშირის ვალი აქვს — 60 მილიონი ევრო. სხვათა შორის, ამ მიზეზით „ტელეკომთან" კონტრაქტი არც „მაკლარენ მერსედესმა" გააგრძელა.**

**რუს** თავდამსხმელ დმიტრი სიჩევისადმი ინტერესს დონეცკის „შახტარი", მოსკოვის „ლოკომოტივი" და კიევის „დინამო" იჩენენ. თავად სიჩევი მოსკოვის „სპარტაკთან" კონტრაქტის ცალმხრივად დარღვევის გამო ოთხთვიან დისკვალიფიკაციას მშობლიურ ომსკში იხდის. რუს ჟურნალისტებთან საუბარში 19 წლის ფეხბურთელმა თქვა, რომ ყოველდღე ვარჯიშობს და ფორმაშიც არის. სიჩევს დისკვალიფიკაციის ვადა 4 იანვარს ეწურება.

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი მწყობრში იანვრისთვის ჩადგება. შეგახსენებთ, რომ ირლანდიელს აგვისტოდან არ უთამაშია. ექიმები აცხადებდნენ, რომ იგი უკვე ნოემბერში შეძლებდა თამაშს, თუმც აღდგენითი პროცესი რამდენიმე თვით გაიწელა. ალექს ფერგიუსონის თქმით, კლუბი კინის გაცილებით ადრე გამოჯანმრთელებას ელოდა — როი მხოლოდ დეკემბერში შეძლებს მსუბუქი ვარჯიშის დაწყებას, იქამდე კი რამდენიმე კვირააო — განაცხადა ფერგიუსონმა.**

**გერმანული** „ბაიერნის" მეკარემ ოლივერ კანმა ოტმარ ჰიცფელდი დაიცვა. კლუბის ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ „ბაიერნის" მწვრთნელს გვარიანად აკრიტიკებენ. „მე ვერ ვიტყვი, რომ ჩვენთან კრიზისია. უბრალოდ, ახლა არ გვიმართლებს. დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში ბუნდესლიგასაც მოვიგებთ და გერმანიის თასსაც" — თქვა კანმა. „ბაიერნის" კაპიტანმა პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერის გასაგონადაც თქვა ორიოდ სიტყვა: სხვა საქმეა, როდესაც ფეხბურთელებს შესაფუცხუნებლად აკრიტიკებ, მაგრამ კლუბის პრობლემების გარეთ გატანა, სულ სხვა რამ არის, მოთამაშეებს ეს სულაც არ ეხმარებაო.

**ინგლისური „ვესტ ჰემ იუნაიტედის" ნახევარმცველ ტრევორ სინკლერს უახლოეს ხანებში სახის ოპერაციას გაუკეთებენ. მან ტრავმა ლივერპულელ სემი ჰიპიასთან შეჯახებისას მიიღო. როგორც აღმოჩნდა, ტრევორს ლაწვის ძვალი ჰქონდა გაბზარული. ამის გამო ფეხბურთელს ლიგის თასზე „ოლდემთან" მატჩის გამოტოვებაც მოუხდა. მის გარდა „ჩაქუჩებს" ტრავმების გამო ფრედერიკ კანუ და პაოლო დი კანიოც აკლია.**

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციამ „ინტერთან" მატჩისას მაყურებლების ხულიგნობისთვის „კომო" დააჯარიმა. საქმე ისაა, რომ „კომოს" ფანებმა იტალიაში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლებისადმი მიძღვნილი წუთიერი დუმილის დროს ტრიბუნებზე შარშან „სან სიროზე" დაღუპული „ინტერის" გულშემატკივრის, ლუკა დოლპინის კარიკატურა გამოფინეს.

**ესპანური „დეპორტივოს" თავდამსხმელი დიეგო ტრისტანი კლუბში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა. „მე მხოლოდ იმიტომ არ ვთამაშობ, რომ მწვრთნელი ჩემს ადგილს ძირითად შემადგენლობაში ვერ ხედავს. გასულ სეზონებთან შედარებით სიტუაცია გაუარესდა. ადრე იმისი იმედი მაინც მქონდა, რომ მწვრთნელი ადრე თუ გვიან მენდობოდა, ახლა ეს იმედი აღარ მაქვს" — განაცხადა ტრისტანმა.**

**იტალიური** „რომას" არგენტინელი ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა სეზონის მიწურულს ინგლისში გადაბარგებას აპირებს. არგენტინელი ვეტერანის თქმით, მისი ოცნება პრემიერლიგაში თამაში და ინგლისური ენის სწავლა ყოფილა. „ხუან ვერონმა მითხრა, რომ ინგლისში ფეხბურთელებს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ და იქაური ატმოსფერო იტალიურისგან განსხვავდება" — განაცხადა ბატისტუტამ.

**ბერძნული „ოლიმპიაკოსი" სლოვენიელი თავდამსხმელის მილან ოსტერცის მიწვევას აპირებს. გასულ სეზონში უეფას თასზე თელ ავივის „ჰაპოელის" შემადგენლობაში თავგამოჩენილმა სლოვენიელმა ევროპული კლუბები დააინტერესა, თუმც მსოფლიოს ჩემპიონატზე სლოვენიის ნაკრების ჩავარდნამ ევროპელებს გული აუცრუათ. ზაფხულში ოსტერცი მხოლოდ „ბოლტონმა" მიიწვია საწვრთნელ ბანაკში, საიდანაც მალევე გაისტუმრა და ფეხბურთელიც უმუშევარი დარჩა. სლოვენიელის „ოლიმპიაკოსში" მიწვევა კი ბერძნული კლუბის ახალი მწვრთნელის, სრეჩკო კატანეცის დამსახურებაა. ბერძნული მედიის ინფორმაციით, კატანეცი კვიპროსის „ოლიმპიაკოსიდან" სინიშა გოგიჩის მიწვევასაც აპირებს. თავად 39 წლის სლოვენიელმა სპეციალისტმა კი „ოლიმპიაკოსში" პანაიოტის ლემონისი შეცვალა. ლემონისს ჩემპიონთა ლიგაში „მაკაბისთან" და „მანჩესტერთან" მარცხი არ აპატიეს.**


# სარბიელი

# სამუშაოდ იწვევს

### გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

**გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური**

9 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.30 | 002 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-მიუნხენი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.30 | 004 | არმინია-ნიურნბერგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 18.30 | 005 | შალკე-ლევერკუზენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.30 | 006 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ჰერტა-ჰანზა | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 20.30 | 009 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XII ტური**

8 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | ბურგჰაუზენი-ობერჰაუზენი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 22.00 | 011 | აინტრახტი-ბრაუნშვაიგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 012 | აინტრახტი-ბრაუნშვაიგი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 22.00 | 013 | ალემანია-უნიონი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ფიურტი-ზტ.პაული | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 18.00 | 015 | ალენი-ლიუბეკი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 016 | დუისბურგი-მაინცი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 017 | კარლსრუე-ვალდჰოფი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 018 | კიოლნი-როიტლინგენი | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |

11 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 019 | ფრაიბურგი-ტრიერი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XVI ტური**

8 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 021 | ბაბელსბერგი-მიუნსტერი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 22.00 | 022 | ოსნაბრიუკი-ჰამბურგი(მ) | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 023 | კიოლნი(მ)-დორტმუნდი(მ) | 3,4 | 3,3 | 1,95 | 1,67 | 1,23 | 1,22 |
| 17.00 | 024 | დინამო-ქემნიცი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 025 | აუე-დრეზდენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 026 | აუე-დრეზდენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.00 | 027 | ურდინგენი-ვუპერტალი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 17.00 | 028 | პადერბორნი-ესენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 029 | ვერდერი(მ)-ვატენშაიდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.00 | 030 | ლევერკუზენი(მ)-კილი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVIII ტური**

8 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 031 | ზაარბრიუკენი-ლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.00 | 032 | შვაინფურტი-ოფენბახი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 22.30 | 033 | დარმშტადტი-ჰოფენჰაიმი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 034 | ერფურტი-აალენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.30 | 035 | აინტრახტი(მ)-უნტერჰახინგი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| 17.30 | 036 | აუგსბურგი-ბაიერნი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 17.30 | 037 | ფულენდორფი-ულმი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 17.30 | 038 | ელვერსბერგი-კიკერსი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 039 | ზიგენი-რეგენსბურგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური**

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.15 | 040 | სიტი-მანჩესტერი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 19.00 | 041 | არსენალი-ნიუკასლი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 042 | ასტონ ვილა-ფულემი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 044 | ჩელსი-ბირმინგემი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 045 | ჩელსი-ბირმინგემი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 046 | ევერტონი-ჩარლტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-ლივერპული | 3,2 | 3,1 | 2,15 | 1,57 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 048 | საუთჰემპტონი-ბლექბერნი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 049 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.05 | 050 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XVIII ტური**

9 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 052 | ბრედფორდი-უიმბლდონი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 053 | ბერნლი-ქოვენტრი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 054 | კრისტალ პალასი-ნოტინგემი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 055 | დერბი-პორტსმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 056 | ჯილინგემი-რედინგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 057 | ლესტერი-უოლსოლი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 058 | მილუოლი-პრესტონი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 19.00 | 059 | ნორვიჩი-უენსდეი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 060 | როტერჰემი-უოტფორდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 061 | შეფილდი-იფსვიჩი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 062 | სტოკი-გრიმსბი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

11 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 063 | ვოლვერჰემპტონი-ბრაიტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 064 | ვოლვერჰემპტონი-ბრაიტონი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |

**ინგლისი. II დივიზიონი. XVIII ტური**

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 065 | ბარნსლი-კარდიფი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 19.00 | 066 | კოლჩესტერი-ბრისტოლი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 067 | ქრიუ-ბრენტფორდი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 19.00 | 068 | ჰადერსფილდი-უიგანი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 069 | ლუტონი-პორტ ვეილი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 070 | ნოტსი-მენსფილდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 071 | პიტერბორო-ჩესტერფილდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 072 | პლიმუთი-ოლდემი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 19.00 | 073 | ქუინზ პარკი-ნორთჰემპტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 074 | სტოკპორტი-ჩელტენჰემი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 075 | სუინდონი-ტრანმერი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 21.35 | 076 | ბლეკპული-უიკომი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XVIII ტური**

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 077 | როვერსი-საუთენდი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 078 | ბერი-ტორკი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 079 | ექსეტერი-ჰარტლპული | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 19.00 | 080 | კიდერმინსტერი-კარლაილი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 081 | ლინკოლნი-ჰალი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 082 | ოქსფორდი-როჩდეილი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 19.00 | 083 | რაშდენი-დარლინგტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 084 | სკანთორპი-ბოსტონი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 19.00 | 085 | შრუსბერი-კემბრიჯი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 086 | სუონსი-მაკლსფილდი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 087 | რექსემი-ბორნმუთი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 19.00 | 088 | იორკი-ლეიტონი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |

**იტალია. სერია "C1 A". XI ტური**

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 131 | ალბინოლეფე-პროპატრია | 1,7 | 2,7 | 6,0 | 1,04 | 1,32 | 1,86 |
| 17.30 | 132 | კარარეზე-ალბანო | 1,9 | 2,5 | 5,3 | 1,07 | 1,39 | 1,69 |
| 17.30 | 133 | ლუკეზე-არეცო | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 17.30 | 134 | ლუმეცანე-პიზა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 17.30 | 135 | პადოვა-ჩიტადელა | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 17.30 | 136 | პრატო-ტრევიზო | 2,8 | 2,7 | 2,6 | 1,37 | 1,34 | 1,32 |
| 17.30 | 137 | რეჯანა-პისტოიეზე | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 17.30 | 138 | სპალ-ჩეზენა | 2,35 | 2,7 | 3,2 | 1,25 | 1,35 | 1,46 |
| 17.30 | 139 | ვარეზე-სპეცია | 2,35 | 2,7 | 3,2 | 1,25 | 1,35 | 1,46 |

**იტალია. სერია "C1 B". XI ტური**

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 140 | აველინო-პესკარა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 17.30 | 141 | კოზენცა-სამბენედეტეზე | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 17.30 | 142 | ჯულიანოვა-ტარანტო | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 17.30 | 143 | ლანჩანო-კროტონე | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 17.30 | 144 | მარტინა-ბენევენტო | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 17.30 | 145 | ტორესი-ტერამო | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 17.30 | 146 | სორა-აკვილა | 1,95 | 2,8 | 4,2 | 1,14 | 1,33 | 1,68 |
| 17.30 | 147 | პეზარო-პატერნო | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 17.30 | 148 | ვიტერბეზე-ფერმანა | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. IX ტური**

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 151 | მალაგა-ოსასუნა | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 22.00 | 152 | რაიო-რეალი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 23.00 | 153 | სოსიედადი-დეპორტივო | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 00.30 | 154 | ვალენსია-ბეტისი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 155 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 156 | ბარსელონა-ვილიარეალი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 20.00 | 157 | სელტა-ესპანიოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 20.00 | 158 | მალიორკა-ალავესი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 20.00 | 159 | სევილია-რასინგი | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| 20.00 | 160 | უელვა-ვალიადოლიდი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 23.30 | 161 | ატლეტიკო-ბილბაო | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. X ტური**

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 162 | ტენერიფე-ელჩე | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 21.30 | 163 | კორდობა-ლეგანესი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 164 | ხეტაფე-ეიბარი | 2,15 | 2,9 | 3,4 | 1,23 | 1,31 | 1,56 |
| 15.00 | 165 | ლევანტე-სპორტინგი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 166 | ოვიედო-ტერასა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 167 | სალამანკა-ალბასეტე | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 20.00 | 168 | სარაგოსა-ალმერია | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 20.00 | 169 | კომპოსტელა-ბადახოსი | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 20.00 | 170 | ფეროლი-ნუმანსია | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 20.00 | 171 | მურსია-ხერესი | 2,15 | 2,9 | 3,4 | 1,23 | 1,31 | 1,56 |
| 20.00 | 172 | ეხიდო-ლას პალმასი | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XIV ტური**

8 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 175 | ნიცა-მონაკო | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 176 | ბორდო-რენი | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | | 2,24 |
| 23.00 | 177 | გენგამი-მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 9 | 1,39 |
| 23.00 | 178 | ლილი-ნანტი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 23.00 | 179 | მონპელიე-სედანი | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 23.00 | 180 | პსჟ-სოშო | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 23.00 | 181 | სტრასბური-ლანსი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 23.00 | 182 | ტრუა-ბასტია | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XV ტური**

8 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 183 | ვასკელი-კანი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 184 | გენიონი-ამიენი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 185 | ისტრი-ნანსი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 23.00 | 186 | ლე მანი-ბოვე | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 187 | მეცი-შატორუ | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.00 | 188 | ნიორი-ვალანსი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 189 | რეიმსი-გრენობლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.00 | 190 | სტ.ეტიენი-კრეტეი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 23.00 | 191 | ტულუზი-კლერმონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.45 | 192 | ლორიანი-ლავალი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |

**პორტუგალია. I ლიგა. X ტური**

8 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 193 | გიმარაეში-სპორტინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 194 | მარიტიმუ-ბრაგა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,6 |
| 23.00 | 195 | ბოავიშტა-მორეირენსე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 196 | ბოავიშტა-მორეირენსე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 01.00 | 197 | სეტუბალი-პორტუ | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |

10 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 198 | ბეირა მარი-ვარზიმი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 20.00 | 199 | ლეირია-სანტა კლარა | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,11 | 1,24 | 1,9 |
| 20.00 | 200 | ნასიონალი-აკადემიკა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 23.00 | 201 | ბენფიკა-ფეირენსე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 202 | ბენფიკა-ფეირენსე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |

11 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 203 | ჟილ ვისენტე-ბელენენსეში | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

**პორტუგალია. II ლიგა. X ტური**

9 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 204 | ავეში-ამადორა | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 205 | ალვერკა-სალგეიროში | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 19.00 | 206 | კოვილია-ლამაში | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 207 | ოვარენსე-მაია | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 19.00 | 208 | შავეში-მადეირა | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 209 | მარკუ-პორტიმონენსე | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 20.00 | 210 | ნავალი-ფარენსე | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 20.00 | 211 | რიუ ავე-ფელგეირაში | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 20.00 | 212 | ლეცა-ესპინიუ | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 213 | როდა-აიაქსი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 214 | ტილბურგი-ვიტესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 22.30 | 215 | ბრედა-გრონინგენი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 216 | ბრედა-გრონინგენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 22.30 | 217 | გრაფსხაპი-ჰეერენვენი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.30 | 218 | პსვ-ნეიმეხენი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 219 | პსვ-ნეიმეხენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 22.30 | 220 | ალკმაარი-როზენდაალი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 221 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 17.30 | 222 | ვალვაიკი-უტრეხტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.30 | 223 | ფეიენოორდი-ზვოლე | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 224 | ფეიენოორდი-ზვოლე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 225 | ვენდამი-დორდრეხტი | 1,55 | 3,8 | 4,4 | 1,1 | 1,14 | 2,03 |
| 23.00 | 226 | ვოლენდამი-სიტარდი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 227 | ვოლენდამი-სიტარდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 23.00 | 228 | იგლსი-ეინდჰოვენი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 23.00 | 229 | ოსი-ტელსტარი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 23.00 | 230 | ვენლო-სპარტა | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 231 | კამბური-ჰერაკლესი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.30 | 232 | ემენი-მაასტრიხტი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 233 | ემენი-მაასტრიხტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 234 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 235 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 236 | სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 237 | ბრიუგე-გენკი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 238 | ლიერსე-გენტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.00 | 239 | ლოკერენი-შარლერუა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 240 | ლოკერენი-შარლერუა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 23.00 | 241 | ბეერსხოტი-მუსკრონი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.00 | 242 | ლომელი-ანტვერპენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 23.00 | 243 | ვესტერლო-მეხელენი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,64 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 244 | ლიერსი-მონსი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 245 | ლიერსი-მონსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 246 | ბევერენი-სტანდარდი | 3,0 | 3,3 | 2,15 | 1,57 | 1,25 | 1,3 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 247 | ჰეუსდენი-დენდერლეუ | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | 248 | ჰეუსდენი-დენდერლეუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 249 | დაინცე-ეუპენი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 250 | პატრო-ინგელმუნსტერი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 23.00 | 251 | ლიეჟი-ტუბიზე | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 23.00 | 252 | ვირტონი-გეელი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 253 | რუსელარე-დესელი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 18.00 | 254 | ვიზე-ვარეგემი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 255 | სტრომბეკი-რონსე | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 18.00 | 256 | ოსტენდე-სერკლე | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| | | **საბერძნეთი. VII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 257 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 258 | ირაკლისი-პაოკ | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 17.00 | 259 | იანინა-ეგალეო | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 17.00 | 260 | პროოდეფტიკი-აკრატიტოსი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 17.00 | 261 | ქსანთი-პანაჰაიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 262 | ქსანთი-პანაჰაიკი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 17.00 | 263 | იონიკოსი-ოფი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 17.00 | 264 | არისი-კალითეა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 265 | არისი-კალითეა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 21.00 | 266 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 267 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **ჩეხეთი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.25 | 268 | სიგმა-სპარტა | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.15 | 269 | ტეპლიცე-სლავია | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 17.00 | 270 | იაბლონეცი-ბანიკი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 17.00 | 271 | ბლშანი-სინოტი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 272 | ზლინი-ბრნო | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.30 | 273 | ჰ.კრალოვე-ლიბერეცი | 4,0 | 3,0 | 1,9 | 1,71 | 1,28 | 1,16 |
| 19.30 | 274 | პრიბრამი-ბუდეიოვიცე | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 275 | ბოჰემიანსი-ტეპლიცე | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| | | **პოლონეთი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 277 | ზაგლებიე-ამიკა | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 278 | გროცლინი-რუხი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.00 | 279 | ლეგია-გარბარნია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 280 | ლეგია-გარბარნია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 21.00 | 281 | პოგონი-ლეხი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 21.00 | 282 | გურნიკი-ვიძევი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 283 | ვისლა-პლოცკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 284 | ვისლა-პლოცკი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 285 | ოდრა-კატოვიცე | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| | | **თურქეთი. XII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 288 | ბეშიქთაში-ელაზიგი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 289 | ბეშიქთაში-ელაზიგი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 290 | დიარბაქირი-ანკარაგუჯუ | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 15.30 | 291 | გიოზტეპე-ტრაბზონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 15.30 | 292 | ისთანბული-გაზიანთეპი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 21.00 | 293 | ადანა-გალათასარაი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 294 | კოჯაელი-დენიზლი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 15.30 | 295 | გენჩლერბირლიგი-ალთაი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 15.30 | 296 | ბურსა-მალათია | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 21.00 | 297 | სამსუნი-ფენერბაჩე | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 298 | პარტიკი-აბერდინი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 299 | ლივინგსტონი-ჰარტსი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 300 | მაზერველი-კილმარნოკი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 301 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 302 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 19.00 | 303 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 304 | ეარი-ქუინი | 1,65 | 3,4 | 4,4 | [illegible] | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 305 | ფოლკერკი-ალოა | 1,35 | 4,0 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | 306 | ფოლკერკი-ალოა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 307 | როსი-ინვერნესი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 308 | სტ.ჯონსტონი-არბროთი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 309 | სტ.მირენი-კლაიდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 310 | ერდრი-დამბარტონი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 311 | ბრეჩინი-ჰამილტონი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 19.00 | 312 | ფორფარი-ბერვიკი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 19.00 | 313 | რეითი-კოუდენბითი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 314 | სტრანრარი-სტენჰაუსმუირი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 315 | ალბიონი-გრეტნა | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,64 |
| 19.00 | 316 | ისტ სტირლინგი-სტირლინგი | 3,0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| 19.00 | 317 | მონტროუზი-ისტ ფაიფი | 2,9 | 3,3 | 2,2 | 1,54 | 1,25 | 1,32 |
| 19.00 | 318 | პიტერჰედი-ელგინი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 319 | ქუინზ პარკი-მორტონი | 3,0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| | | **დანია. XV ტური** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 320 | ვიბორგი-ოლბორგი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 321 | აკადემისკი-კოპენჰაგენი | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 18.00 | 322 | კოგე-ფარუმი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 18.00 | 323 | ოდენსე-ორჰუსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 324 | სილკებორგი-მიდტიულანდი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 20.35 | 325 | ბრონდბიუ-ესბიერგი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 336 | ლოზანა-ვადუცი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| | | **შვეიცარია. თასი. 1/16 ფინალი** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 424 | ბელინცონა-გრასჰოპერი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 425 | ბადენი-აარაუ | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 17.30 | 426 | კონკორდია-სერვეტი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 17.30 | 427 | შაფჰაუზენი-ციურიხი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| | | **შვედეთი. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 428 | აიკ-ორგრიუტე | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **ფინეთი. თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 429 | ჰაკა-ლაჰტი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 623 | ოტავა-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,6 | 1,28 | 1,09 | 1,57 |
| 04.00 | 624 | აილენდერსი-ედმონტონი | 1,95 | 4,0 | 2,5 | 1,31 | 1,09 | 1,53 |
| 04.30 | 625 | ტამპა ბეი-პიტსბურგი | 2,15 | 4,0 | 2,3 | 1,39 | 1,11 | 1,46 |
| 04.30 | 626 | დალასი-ტორონტო | 1,75 | 4,0 | 2,9 | 1,21 | 1,09 | 1,68 |
| 06.00 | 627 | კოლორადო-ანაჰაიმი | 1,65 | 4,0 | 3,2 | 1,16 | 1,08 | 1,77 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 16.15 | 2602 | ინგლისი პლ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 21.00 | 2604 | იტალია "A" (IX ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 09.11 21.00 | 2605 | ესპანეთი Iდ. (IX ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 08.11 01.00 | 2607 | პორტუგალია Iლ. (X ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 08.11 23.00 | 2608 | ჰოლანდია Iდ. (XI ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 08.11 23.00 | 2609 | ბელგია Iდ. (XII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 08.11 22.00 | 2610 | თურქეთი. (XII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

ეროვნული ბიბლიოთეკა


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iº კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გიორგი და ორი ძია

## კათილმა სლოვენიელმა და მარიფათიანმა იუგოსლავიელმა ჩვენი ბიჭი ბოლონიაში მოაწყვეს

**ამ ზაფხულს** 15 წლის გიორგი მამაცაშვილის „ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში გადასვლას თითქოს აღარაფერი ედგა წინ, მაგრამ მისმა იუგოსლაველმა მენეჯერმა ალექსანდრ რაშკევიჩმა ქართველი კალათბურთელი ესპანელებს ძვირად დაუფასა და... ეტყობა, რაშკევიჩი ახალგაზრდა ქართველის ნიჭიერებაში დარწმუნებული იყო, არაფერი დათმო და მამაცაშვილს ახალი გუნდი გამოუნახა — ბოლონიის „სკიპერი".

ორიოდ სიტყვა მამაცაშვილისა და რაშკევიჩის კავშირზე: მათ ერთმანეთი ივლისში, სტამბოლის საწვრთნელ კემპზე გაიცნეს. იქ გიორგი სწორედ რაშკევიჩთან შესახვედრად იყო მივლინებული ლოიზა მილოსავლიევიჩის მიერ, რომელიც ჩვენებურს ლიუბლიანის „სლოვანის" ახალგაზრდულ გუნდში წვრთნიდა. ამ კაცმა უჩვეულო გულისხმიერება გამოიჩინა გიორგის მიმართ: „სლოვანის" გენერალური დირექტორი იანის რაიგელი ცდილობდა, მამაცაშვილი 8-წლიან კონტრაქტზე დაეყოლიებინა, მილოსავლიევიჩმა კი ჩვენებური ამ „კაბალურ ხელშეკრულებას" აარიდა და რაშკევიჩს შეახვედრა, უფრო კარგ კლუბთან უკეთესი პირობებით დაგაკავშირებსო.

მამაცაშვილის „სკიპერში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია, გიორგი ახლახან დაბრუნდა იტალიიდან, სადაც ბოლონიურ კლუბში ერთი კვირა ივარჯიშა და მოწონებაც დაიმსახურა. მასთან ერთად იყო კიდევ ერთი ქართველი, სსუ-ს 18 წლის ცენტრი დავით ერქვანია, რომლის აყვანაზეც თანახმანი არიან ბოლონიელები.

— „სკიპერის" ახალგაზრდებთან ხუთჯერ ვივარჯიშე, ერთხელაც — პირველ გუნდთან. ჯერ ცოტას ვნერვიულობდი, მერე დავლაგდი და იტალიელებიც კმაყოფილნი დარჩნენ. ჩავედით თუ არა, ორ-ორი წყვილი სპორტული ფეხსაცმელი, ფორმა და სხვა რაღაც-რაღაცეები მოგვცეს. ბოლონიელები ერთ კვირაში გველიან, მანამდე ყველა საჭირო საბუთი უნდა მოწესრიგდეს, აქაც და იტალიაშიც — გვითხრა გიორგი მამაცაშვილმა.

ერთადერთი, რის გამოც ჩემი „სკიპერში" გადასვლა შეიძლება ჩაიშალოს, „ბარსელონას" ვარიანტისა არ იყოს, რაშკევიჩის მიერ დასახელებული თანხააო, გვითხრა ამ უქმეებზე მამაცაშვილმა. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ რაშკევიჩსა და იტალიელებს უკვე უსაუბრიათ და „სკიპერს" კვლავაც სურს მამაცაშვილი. ვიზისა და სხვა საბუთების პრობლემას მოვაგვარებთ და მოწვევასაც რამდენიმე დღეში გამოვგზავნითო — შემოუთვლიათ ბოლონიელებს.

**ირაკლი პერტაია**



გიორგი მამაცაშვილი იტალიელებს ელის

# მადლი ჰქენი

*ქართველ მეტალურგებს მთამსვლელობასთან და საერთოდ სპორტთან ძველი და ახლო ურთიერთობა აქვთ. ამ ტრადიციას პროფესორმა გიორგი ნიკოლაძემ ჩაუყარა საფუძველი, რომელიც მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად სპორტის დიდი ქომაგი იყო. მას განსაკუთრებით დიდი ამაგი მთამსვლელობის განვითარებაში მიუძღვის. მაგრამ ახლა გიორგი ნიკოლაძეზე კი არა, მის ერთ-ერთ მემკვიდრეზე, ქართული სპორტის მოამაგეზე, ჩვენს ქვეყანაში მეტალურგიის განვითარების დიდ ორგანიზატორზე, ამ საქმის ნოვატორზე, ცნობილ ინჟინერ-მეტალურგსა და მეცნიერზე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორზე, პროფესორ გურამ ქაშაკაშვილზე გვინდა შევჩერდეთ, რომელიც 70 წლისა მოყრილა*



გურამ ქაშაკაშვილი (წინა პლანზე) და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, მთამსვლელი დიმიტრი დანგაძე

**„იმ პერიოდში,** როდესაც ბატონი გურამი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მაღალი რანგის ხელმძღვანელი გახლდათ, სიტყვები „მეცენატი" და „ქველმოქმედი" ტაბუდადებული იყო — იხსენებს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი — მაგრამ ათეული წლების განმავლობაში მთელი მისი საქმიანობა ქართული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის მიმართ ქველმოქმედება, ქომაგობა და მხარში დგომა გახლდათ. კარგად მახსოვს ბატონი გურამის ჩემდამი უანგარო დახმარება ჯერ როგორც სპორტსმენს, შემდეგ კი როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს.

ბატონმა გურამმა შვიდი ათეული წლის განმავლობაში მრავალი ცხოვრებისეული ევერესტი დაიპყრო, ნამდვილი ევერესტი კი მისმა ვაჟმა დალაშქრა.

მჯერა, წინ კიდევ არაერთი ევერესტია."

გეხსომებათ, გურამ ქაშაკაშვილის შვილი ბენო იყო იმ ექსპედიციის ხელმძღვანელი, რომელმაც 1999 წელს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრა.

სხვათა შორის, ბენო ქაშაკაშვილიც პროფესიით მამის კვალს მიჰყვება. ისიც მეტალურგია და მეცნიერებათა კანდიდატიც გახლავთ. ცხადია, ბენოს, როგორც მეტალურგის, მთამსვლელის, გნებავთ, როგორც კინოოპერატორის (მთაში გადაღებული ფილმების საერთაშორისო კონკურსებში არაერთი პრემია დაიმსახურა) და სხვა მრავალ წარმატებაში მამის წვლილი დიდია. ეს მისი მოვალეობაცაა და ვალიც, მაგრამ გურამ ქაშაკაშვილი, როგორც ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის ნათქვამითაც ჩანს, მხოლოდ საკუთარ შვილზე როდი ზრუნავს.

„ზესტაფონსა და რუსთავში სპორტის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის გურამ ქაშაკაშვილს — ამბობს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი — ეს წვლილი სპორტული დარბაზების, სტადიონების, აუზების და სხვა ნაგებობათა მშენებლობასა და რეკონსტრუქციას უკავშირდება.

ზესტაფონის ქარხნის ალორძინებასთან ერთად სპორტული კომპლექსების მშენებლობამ, ფეროსტრიბუნა გადახურულმა სტადიონმა რაიონში სპორტული ცხოვრებაც გამოაცოცხლა. რუსთავის „მეტალურგის", იმ დროს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სტადიონის კომპლექსმა, ორიგინალური კონსტრუქციის გადახურვით, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმებმა, რასაც კლუბ „მეტალურგის" პრეზიდენტი გურამ ქაშაკაშვილი უშურველად აკეთებდა, დიდი შედეგები გამოიღო".

„რუსთავის „მეტალურგის" სტადიონის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოწყობაში, რაც რეკონსტრუქცია კი არა, ფაქტობრივად, ახალი სტადიონის მშენებლობა გახლდათ, გურამ ქაშაკაშვილის წვლილი უდიდესია, — იხსენებს საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, სოფტბოლის მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე. გურამ ქაშაკაშვილის სპორტისადმი დამოკიდებულებამ საქართველოსა და რუსთავის მოსახლეობას უდიდესი სპორტული ზეიმი — 20 წლამდე ფეხბურთელთა 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ჯგუფის მასპინძლობის პატივი არგუნა, რაც დღესაც ბევრს გვახსოვს და გვახარებს."

გურამ ქაშაკაშვილი თავის მზრუნველობას მხოლოდ რუსთავისა და ზესტაფონის მიმართ როდი იჩენდა. თბილისის სპორტის მესვეურების თხოვნით, მისი დახმარებითა და ავტორიტეტით შესაძლებელი გახდა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დასავლეთ ტრიბუნისა და სპორტის სასახლის გადახურვა დეფიციტური, მოთუთიებული სპეციალური პროფილის კონსტრუქციით.

მაგრამ გურამ ქაშაკაშვილი მხოლოდ სპორტისა და სპორტსმენთა ქომაგი როდია. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს პარლამენტის წევრის, ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის, ლევან თედიაშვილის ნაამბობი:

„ოთხმოციან წლებში საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობამ მომიწია. ყველაფრით შესანიშნავი იყო ის კოლმეურნეობა, მაგრამ ერთი დიდი გასაჭირი ჰქონდათ კაკაბეთელებს: მახსოვს კოკების, დოქების, თავსაფრიანი ქალების უსასრულო რიგები სოფლის ბოლოში. მარტოხელა დედები შიშით ტოვებდნენ შინ პატარებს, მეზობლისგან ნათხოვარი სახედრებით წყლის რიგში დგებოდნენ. დღეში რამდენჯერმე ამხელა გზის წინ და უკან გავლა იოლი არ იყო. ახლა თუ წყალი დაშრებოდა?!.. ბევრმა იქაურობა სწორედ უწყლობის გამო დატოვა. სასმელი წყალი ხომ აუხდენელი, ყოველ შემთხვევაში, შორეული ოცნება იყო.

გადავწყვიტე, ჩვენი გასაჭირით ბატონი გურამისთვის მიმემართა. ის იმ წლებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თავკაცი იყო და განსაკუთრებული გულისხმიერებით გამოირჩეოდა. მან უყოყმანოდ, ყოველგვარი ბიუროკრატიული შეთანხმებებისა და ლიმიტების გარეშე გამოგვიყო იმ წლებში საკმაოდ დეფიციტური მილები და დვრინის მაცოცხლებელმა წყარომ კაკაბეთელთა ეზო-ყურეზე გადმოინაცვლა. ეგ კი არა და, კოლმეურნეობამ საკუთარი თევზსაშენიც კი გააკეთა.

რაოდენ კანონზომიერია, რომ დღეს ბატონი გურამი სათავეში უდგას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიულ ფაკულტეტს, სადაც პროფესიული ცოდნის გარდა ახალგაზრდა თაობას უტარებს კაცობის, მამულიშვილობის, დიდი მეგობრობის კურსებს".

ასევე თბილად საუბრობენ გურამ ქაშაკაშვილზე ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეები, სამბისტები, ძალოსნები და სხვები, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში მისი ფინანსური ხელშეწყობით არაერთ დიდ შეჯიბრებაზე იასპარეზეს. განსაკუთრებით დიდი პატივისცემა და სიყვარული კი გურამ ქაშაკაშვილს მაინც რუსთაველებში დაუთესია.

სწორედ მასზეა ნათქვამი, მადლი ჰქენი, ქვაზე დადეო.



გურამ ქაშაკაშვილი მთამსვლელთა გარემოცვაში (მარცხნიდან): ევერესტის დამპყრობნი, მისი შვილი ბენო ქაშაკაშვილი, ლევ სარქისოვი, თვითონ გურამ ქაშაკაშვილი და ქართული ალპინიზმის ვეტერანი, სსრ კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, შოთა მირიანაშვილი

# უჟრიდან ამოღებული ნეილონის ამბავი

## ჯორდანი ზოგჯერ თბილი ღვინოა, თუ არ ჩაცივდა, მტრისას

6 ნოემბერი

**ნიუ იორკი 95:88 საკრამენტო**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21), ნეილონი (20), ანდერსონი (15), ვორდი (15)
საკრამენტო: ვებერი (22 ქულა, 11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (19), ჯეკსონი (16)

**მილუოკი 99:93 ნიუ ჯერსი**

მილუოკი: ალენი (29), კუკოჩი (26)
ნიუ ჯერსი: კიდი (24), მუტომბო (16), მარისი (15)

**ნიუ ორლეანი 86:84 სიეტლი**

ნიუ ორლეანი: დევისი (23 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ვესლი (19), მაშბურნი (16)
სიეტლი: პეიტონი (29), ლუისი (21)

**ვაშინგტონი 107:100 კლივლენდი**

ვაშინგტონი: სტეკჰაუზი (35), ბრაუნი (14), ჰიუზი (13)
კლივლენდი: დევისი (27), ჯონსი (18)

**ფილადელფია 101:99 კლიპერსი**

ძირითადი დრო 92:92

ფილადელფია: აივერსონი (34), მაკალოჯი (15), სნოუ (14)
კლიპერსი: ბრენდი (21 ქულა, 19 მოხსნა), პიატკოვსკი (18), მეჯიტი (18)

**ტორონტო 92:106 დალასი**

ტორონტო: ლენარდი (20), პანტერი (17), პეტერსონი (16)
დალასი: ნოვიცკი (28 ქულა, 13 მოხსნა), ფინლი (22), ბრედლი (14 ქულა, 13 მოხსნა)

**ფინიქსი 93:88 ატლანტა**

ფინიქსი: მარიონი (26), პარდევი (20)
ატლანტა: ტერი (22), აბდურ-რაჰიმი (19), რობინსონი (15)

**პორტლენდი 94:88 მემფისი**

პორტლენდი: ვოლესი (18), პიპენი (16), დანიელსი (16)
მემფისი: გასოლი (23), უილიამსი (19 ქულა, 11 პასი)

**ჩიკაგო 69:91 ბოსტონი**

ჩიკაგო: ჩანდლერი (15)
ბოსტონი: უოლკერი (22), პირსი (17)

**იუტა 78:80 დეტროიტი**

იუტა: კირილენკო (17), პადჯეტი (15 ქულა, 11 მოხსნა)
დეტროიტი: ჰამილტონი (28), რობინსონი (16)

ვეება ნიუ იორკში კალათბურთი აგონიიდან გამოვიდა. იქაური „ნიქსი“ სულს ლაფავს და ტკბილ სიცოცხლეს ებლაუჭება, მაგრამ ცხოვრება დაუნდობელია და ვიდრე „ნიქსი“ აზრზე მოვიდოდა, ოთხჯერ გაქელეს სასტიკმა მეტოქეებმა.

ზედიზედ მეხუთე წაგებას კი გადაურჩნენ ნიუიორკელები, ტრავმების სენშეპარულ მაგრამ მაინც ძლიერ „საკრამენტოს“ მოუგეს. ეს ამ სისხლნაკლულ გუნდს მცირე გმირობადაც ჩაეთვლება.

მასპინძლებმა განსაკუთრებული მონდომებით ითამაშეს იმ საღამოს, რეალური სტიმულიც ჰქონდათ, შიშობდნენ, აქამდე ერთგულმა ქომაგობამ ზურგი საბოლოოდ არ შეგვაქციოსო. წინა შეხვედრამ „მედისონ სკვერ გარდენში“ ორი ათასი ცარიელი ადგილით ჩაიარა, რაც „ნიქსის“ მესვეურებმა უზრუნველი ცხოვრების დასასრულის დასაწყისად ჩათვალეს. „მედისონ სკვერი“ ბოლო 433 თამაშში, რაც დაახლოებით ათ წელიწადს უდრის, პირთამდე იყო გადაჭედილი. „ნიქსის“ შინაურ თამაშზე შემთხვევითი მაყურებელი გადამყიდველებში თუ იშოვიდა ბილეთს. ახლა კი ერთბაშად 1600 დარჩა გაუყიდავი.

და „ნიქსმა“ თავი გადადო. გარემოებაც დაეხმარა. „საკრამენტო“ ჯერაც არ შეკრებილა სრული შემადგენლობით. თან „მეფეები“ ბოლო ხუთ დღეში მეოთხე მატჩს თამაშობდნენ სტუმრად. „მეფეებიც“ ხომ ადამიანები არიან და ცოტა მოღლილიყვნენ და მაინც, თამაში უფრო სტუმართა უპირატესობით წარიმართა და მასპინძლები ამ შეხვედრასაც დათმობდნენ, მოულოდნელად ღრმა სათადარიგო ლი ნეილონს რომ არ გამოეღო ხელი. ამ ჯეელმა 20 ქულა შეაწია თავისიანებს, აქედან 10 ბოლო მეოთხედში. მისი ქულები სამი მეოთხედის არანორმალურად სწრაფად გამრბენმა „ნიუ იორკმა“ ჟანგბადივით ხარბად შეისრუტა და კიდევ უფრო სწრაფად გაირბინა ბოლო თორმეტწუთეული.

ნეილონს ღრმა სათადარიგო ვუწოდეთ, რაკი „ნიუ იორკში“ ის ახალწვეულია და ჯერაც ცდილობს სათამაშო წუთების მოპოვებას, თორემ ზოგადად სულაც არ გახლავთ ურიგო მოთამაშე. ის საკმაოდ წარმატებით ასპარეზობდა „შარლოტში“ (აწ „ნიუ ორლეანი“) და ამ სეზონის დაწყებამდე იქიდან მწვრთნელთან კამათისთვის გამოაგდეს.

ამ დროს კი, როცა „ნიუ იორკი“ სეზონის პირველ გამარჯვებას ზეიმობდა, ქვეყნის უდიდესი ქალაქის გარეუბნელმა გერმა „ნიუ ჯერსი ნეთსმა“ წლეულს პირველად შეიგრძნო მარცხის სიმწარე. „ნეთსმა“ წინა ოთხი შეხვედრა მოიგო და მილუოკიში ჩასულიც მხოლოდ გამარჯვებას აპირებდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ცუდი სეზონის შემდეგ „მილუოკი ბაქსი“ გამოფხიზლებას ლამობს და ამაში ახალგაზრდული ენერგიით ეხმარება ვეტერანი ხორვატი ტონი კუკოჩი. კუკოჩს ბებრის ყვავილობა აქვს და თუ ასე გააგრძელა, „ბაქსის“ ბომბარდირობას ჩამოართმევს თავად რეი ალენს, ვისაც მილუოკიში ყველა ეთაყვანება პირველკლასელი ბავშვებიდან დაწყებული, მწვრთნელ ჯორჯ კარლითა და თვით უმაღური პრესით დამთავრებული. ამჯერად ალენმაც და კუკოჩმაც თანაბარი წვლილი შეიტანეს „ბობოლა მეტოქის“ წამოქცევაში. ორივემ ჯამში 55 ქულა, აქედან 24 სამქულიანი გაიღო და „ნეთსმაც“ მიჩიგანის ზღვა-ტბის ნაპირიდან მარცხი წამოიღო.

პირველად დამარცხდა „სიეტლ სუპერსონიქსიც“, რომელიც ზედიზედ მეხუთე გამარჯვების ძიებაში დიდი კალათბურთის ახალ კუთხე-კუნჭულში — ახალ ორლეანში ჩავიდა. კარიერაში სარეკორდო 18 პასის მოხვეჭიდან ერთ დღეში სიეტლელმა გერი პეიტონმა რიხი არ დაკარგა და „ჰორნეთსს“ 29 ქულა ჩაუგდო, მაგრამ ამ ჯერზე „მხოლოდ“ 9 პასი გაჩარხა და მასპინძლებიც ამას თვლიან თავიანთი წარმატებით მთავარ მიზეზად. გვერჩივნა, პეიტონს ქულები ეკეთებინა და არა პასები, რადგან მისი პასები დაცვას ანგრევს, ქულა კი განა რამდენი უნდა ჩაგვიგდოს, წელში რომ გაგვწყვიტოსო — უთქვამს მასპინძელთა ჯილას ბაირონ დევისს. თავად ბაირონმა თავისიანებს 23 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი და 3 ჩაჭრა გაუშანსა.

კიდევ ერთი თამაში ჩაუვარდა მაიკლ ჯორდანს. მან ამჯერად მხოლოდ ექვსი ქულის გაკეთება შეძლო მთელ 24 წუთში. მუხლები უთრთის დიად მობურთალს, გადახურებულ სახსართა გასაცივებლად აუარება ყინულს მოიხმარს და მაინც ვერაა ჯანზე. ამის მიუხედავად, ის მაინც ჯიუტად განაგრძობს საუბარს თავის მნიშვნელობაზე „ვაშინგტონში“. ამბობს, იმას ვაკეთებ, რაც საჭიროა, აგერ, სტეკჰაუზმა დღეს თავისი რიტმი იპოვა და 35 ქულა ჩააგდო. ამაში მეც ვეხმარებოდი და ათასჯერ მითქვამს, ჩემი აქ ყოფნის მიზანი მხოლოდ სხვათა დახმარება და მათი ნიჭის გალვივებააო. მთლიანობაში ეს ასეცაა, მაგრამ რაც უნდა მოკრძალებული იყოს მაიკლი, მისგან მხოლოდ ექვსი ქულა მაინც აშფოთებს და მის სიბერეზე აფიქრებს ხალხს.

**ირაკლი ფირაშვილი**




ბაირონ დევისმა და მისიანმა ნიუორლეანელებმა პირველი მარცხი შეამთხვიეს გერი პეიტონის (№ 20) „სიეტლს“

AP ნიუ ორლეანიდან

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 4 | 1 | 80,0 |
| ორლანდო | 4 | 1 | 80,0 |
| ფილადელფია | 3 | 1 | 75,0 |
| ბოსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 2 | 3 | 40,0 |
| მაიამი | 1 | 3 | 25,0 |
| ნიუ იორკი | 1 | 4 | 20,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 4 | 1 | 80,0 |
| ინდიანა | 3 | 1 | 75,0 |
| ნიუ ორლეანი | 3 | 1 | 75,0 |
| ატლანტა | 3 | 2 | 60,0 |
| მილოუკი | 2 | 2 | 50,0 |
| ჩიკაგო | 2 | 3 | 40,0 |
| კლივლენდი | 2 | 3 | 40,0 |
| ტორონტო | 2 | 3 | 40,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 4 | 0 | 100,0 |
| სან ანტონიო | 4 | 1 | 80,0 |
| მინესოტა | 3 | 2 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| დენვერი | 1 | 3 | 25,0 |
| იუტა | 1 | 4 | 20,0 |
| მემფისი | 0 | 5 | 00,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 4 | 1 | 80,0 |
| საკრამენტო | 3 | 3 | 50,0 |
| ლეიკერსი | 2 | 3 | 40,0 |
| ფინიქსი | 2 | 3 | 40,0 |
| პორტლენდი | 2 | 3 | 40,0 |
| კლიპერსი | 1 | 2 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 4 | 20,0 |



წლობით ნაჯაფარ და გახურებულ იოგებს მაიკლ ჯორდანი ყინულის ტომსიკებით იურვებს

REUTERS ვაშინგტონიდან

# ფედერაციამ ქალებთან ურთიერთობა ოფიციალურად გააფორმა

**დრო იყო**, ჩვენში ქალთა კალათბურთიც მძლავრობდა და, ვაჟთა ჩემპიონატისგან განსხვავებით, ევროპაში გარკვეული წონაც ჰქონდა. ბოლო წლებში ჩვენში ქალებისთვის ალარავის ეცალა და „საქართველოს ჩემპიონატიც“ მათი ენთუზიაზმის წყალობით იმართებოდა. ქალთა 2001-2002 წლების სეზონის ჩემპიონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, მაგრამ ეს ყველაფერი არაოფიციალურად ხდებოდა, ამიერიდან კი ქალთა ეროვნული პირველობა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ეგიდით მოეწყობა.

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი უკვე დაიწყო — 28 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე პირველი წრის მატჩები გაიმართა ტურნირს ექვსი მონაწილე ჰყავს თსუ „მართვე“, „ბათუმი“, „რუსთავი“ და ქუთაისის ორი — განათლების განყოფილებისა და სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდები.

პირველი წრის შემდეგ წინ ქუთაისელი მედიკოსები არიან, რომელთაც ყველა დანარჩენთან ერთად შარშანდელი ჩემპიონი თსუ-ც დაამარცხეს. თბილისელი სტუდენტები მეორე ადგილზე არიან, რუსთაველებმა კი ყველა მატჩი წააგეს.

პირველი წრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ჩატარდა. წინ კიდევ 3 წრეა, რომელთა გამართვასაც კალათბურთის ფედერაციის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე როლანდ გელოვანი ტურნირში მონაწილეთა ქალაქებში გეგმავს.

**ირაკლი ბერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქილერის შეცდომა

## დევენპორტმა დაჭრილ სელეშს საკონტროლო არ დაახალა

**WTA-ს ჩემპიონატი**
ლოს ანჯელესი
საპრიზო 3 მილიონი $

**მერვედფინალი**

**ვინუს უილიამსი (2, აშშ) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:2, 7:6 (9:7); მონიკა სელეში (6, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (აშშ) 3:6, 7:6 (8:6), 6:3; კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1, 6:2; ჟუსტინ ენენი (4, ბელგია) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:3, 6:3**

ცოტაც და სიცივისგან გათოშილი საჩოგბურთო სეზონი ზამთრის ძილს მიეცემა, დაისვენებს, რათა ორ თვეში გაიღვიძოს, გაიზმოროს და ახალი ენერგიით შეუდგეს სპორტის ამ ელიტარული სახეობის ათასეულობით და იქნებ მილიონობით ქომაგის ცხოვრების გალამაზებას. მსოფლიოს ჩოგბურთის ქალურ ნახევარს, უფრო სწორად, ამ ნახევრის ელიტარულ ნაწილს, წლეულს ერთი ხელის გაქნევაღა დარჩენია. ლოს ანჯელესში დარბაზ „სტეიპლზ სენთერში" შეკრებილა პლანეტის 16 უძლიერესი მდედრი ჩოგბურთელი და ერთმანეთს WTA-ს ჩემპიონატის 3-მილიონიანი საპრიზოს უმეტეს ნაწილს ეცილება.

ტურნირში მონაწილეობა არ დასცალდათ ტრავმიან მარტინა ჰინგისსა და ამელი მორესმოს. მათ მაგდალენა მალეევა და ელენა დემენტიევა ჩაენაცვლნენ. ხოლო თუ კიდევ ვინმე სხვას დაუდებს კვანტს მუხთალი ტრავმა, მას ალტერნატიული მოთამაშე, სადღეისოდ მსოფლიოს მე-19 ჩოგანი ალექსანდრა სტივენსონი შეცვლის.

ტურნირი ეს-ესაა, დაიწყო და გუშინწინ გოგონათა ნახევარმა პირველი წრე მოილია. ოთხი შეხვედრიდან ყველაზე თვალსაჩინო გამოდგა ორი ჯანიანი ამერიკელის, მონიკა სელეშისა და ლინდსი დევენპორტის ჯახი. მონაწილეთა შორის ყველაზე ზორბა გოგო ლინდსი დევენპორტი ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა მიუხედავად იმისა, რომ რვა განთესილს შორის ვერ მოხვდა. ამის მიზეზად მხოლოდ ტრავმა შეიძლება მოვიტანოთ და არა ზოგადი დაძაბუნება. 191-სანტიმეტრიანმა დევენპორტმა სეზონის დასაწყისში მუხლის ოპერაცია გადაიტანა და კორტზე მხოლოდ ივლისში გამოჩნდა, რამაც ცხადია, ბლომად ქულები მოაკლო და გვარიანად დაჩოჩა კლასიფიკაციაში. ლინდსის კოლოსალური ძალა თავადაც საკმაოდ ჯანიანმა სელეშმა თავიდანვე იწვნია. მონიკა დებიუტშივე დამფრთხალი ჩანდა. მას 1997 წლის შემდეგ არ მოუგია ლინდსისთვის და სანახევროდ გავსებული 19-ათასიანი „სტეიპლზ სენთერი" (ამ დარბაზში მასპინძლობენ სტუმრებს ნბა-ს აღიარებული კლუბები „ლეიკერსი" და „კლიპერსი") დევენპორტის გამარჯვებას ელოდა.

ლინდსიმ თითქმის გაიმარჯვა, მას უნდა მოეგო, მაგრამ კარგად გაკეთებულ საქმეს თავი ვეღარ მოაბა, ექვსმაგი მატჩპოინტი გაფლანგა და დაისაჯა. პირველი სეტის უიმედოდ წაგების შემდეგ სელეში გვიან, მაგრამ მაინც მოეგო გონს. მან მეორე სეტში იპოვა საკუთარი თავი. დევენპორტს ქულების მოპოვება გაუჭირდა. პირველი თორმეტი გეიმის ფაიმით დამთავრების შემდეგ მან მაინც მოახერხა და ტაიბრეიკში ერთბაშად ექვსქულიანი უპირატესობა შეიქმნა, ერთი ზუსტი ბურთიც და ის მეორე სეტთან ერთად მთლიანობაში თამაშსაც მოიგებდა. ამ ერთი ბურთის ჩაგდება ექცა ლინდსის შეუძლებლად. სელეში შესანიშნავად ათამაშდა, ბედიც სწყალობდა, სიზუსტე არ ღალატობდა და ტაიბრეიკის ანგარიში 0:6 რაღაც სასწაულით 8:6-ად და გამარჯვებად აქცია.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, გათანაბრების შემდეგ დევენპორტმა დაკარგა საკუთარი სიძლიერის შეგრძნება, დათმო ფსიქოლოგიური ბრძოლა და სელეშმა საკმაოდ იოლად, 6:3 მოგებით დაიჩემა გადამწყვეტი სეტი, მატჩი და მეოთხედფინალის საგზური.

„ეს იყო მატჩი-თრილერი, მგონი, ჩემს დღეში არ გადამირჩენია ამდენი მატჩპოინტი. ბედმა გამიღიმა, ლინდსის კი პირიქით" — ამბობდა ნამატჩევს ჯერაც აღელვებული სელეში. მონიკამ პირველი ბარიერი კი გადალახა, მაგრამ მეორეში არანაკლები მღელვარება ელის. თმებგაწეწილი ამერიკელის მომდევნო მეტოქე მრისხანე შავგოგო, თმებჩაწნული ვინუს უილიამსია, საუკეთესო ფორმაში მყოფი მსოფლიოს მეორე ჩოგანი. უფროს უილიამსს წლეულს არც მეტი, არც ნაკლები 7 ტურნირი მოუგია, მათ შორის ოთხიდან ორი დიდი სლემის მთავარი პრიზიც დაუსაკუთრებია და სადღეისოდ მხოლოდ იმიტომ ვერ არის მსოფლიოს პირველი ჩოგანი, რომ მისი უმცროსი დაიკო სერენა რაღაც არაადამიანურ ჩოგბურთს თამაშობს. წლეულს ვინუსი ორჯერ შეხვედრია სელეშს და ამ უკანასკნელის სავაგლახოდ ორჯერვე დაუმარცხებია, თან ორჯერვე იმ დიდი სლემის ტურნირთა ნახევარფინალში, რომლებიც მოუგია (საფრანგეთისა და აშშ-ს ღია პირველობები). ასე რომ, სელეში წაგებისთვის თუ არა, დიდი ნერვიულობისთვის მაინცაა განწირული.

ისე ობიექტურობა უნდა დავიცვათ, ნამეტან ხოტბასაც ნუ შევასხამთ ვინუსს და ამ ტურნირის პირველ წრეში მისი ძლივსგამარჯვება ვახსენოთ. უილიამსს სელეშზე სუსტი სამერვედფინალო მეტოქე ერგო, შვეიცარიელი პატი შნიდერი ნამდვილად არ ერია ფავორიტთა შორის, მაგრამ ვინუსს მაინც გაუჭირდა მისი ჩამოშორება. ამათი მატჩი ძალიან მიემსგავსა სელეშ-დევენპორტისას, იმ განსხვავებით, რომ პირველი სეტის იოლად მოგების შემდეგ დაწინაურებულმა უილიამსმა დევენპორტისგან განსხვავებით გაუძლო ტაიბრეიკის ციებ-ცხელებას და 9:7 ძლივს მოგების შემდეგ შნიდერს გამარჯვება მოალოცინა.

6 ნოემბრის დანარჩენ ორ მატჩში უიოლესად იმარჯვეს ბელგიელმა გოგონებმა, ბუთხუზა კიმ კლაისტერსმა და სიფრიფანა ჟუსტინ ენენმა. მათ შესაბამისად ამერიკელი ჩანდა რუბინი და რუსი ელენა დემენტიევა გამოაკლეს ტურნირს და ახლა წმინდა ბელგიურ მეოთხედფინალში ერთმანეთს მოუსინჯავენ მკლავის ძალას, თვალის სიზუსტეს და ნერვების მდგრადობას.

**კოტე ყორშია**



AP ლოს ანჯელესიდან

ლინდსი დევენპორტი საკუთარ თავთან დამარცხებას განიცდის



AP ლოს ანჯელესიდან

მონიკა სელეში მეოთხედფინალშია


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# მოდი, ვნახოთ ციგა რამდენი გიორგი ჩასრიალდება ტურინში?

**საქართველოში** ოთხი წლის წინ დაფუძნდა ციგაობის ეროვნული ფედერაცია, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობს ბაკურიანელი ფელიქს ქუმარიტაშვილი, წარსულში ჩინებული მოციგავე, ჩვენი ქვეყნის ათგზის ჩემპიონი. ბატონი ფელიქსი 1985-91 წლებში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იყო, მერე, ქვეყანა რომ აირია, ციგებისთვის კი არა, ლამის საერთოდ სპორტისთვის აღარავის ეცალა.

კარგა ხანს უქმად მყოფი ქართველი სპეციალისტი ფრანგებმა მიიწვიეს და მოციგავეთა ნაკრები ჩააბარეს. სტუმარ-მასპინძელთა ხუთწლიანმა შეხმატკბილებულმა თანამშრომლობამ ორმხრივ სასიკეთო შედეგი გამოიღო — ფრანგები ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ რიხიანად დაბრუნდნენ საციგაო ელიტაში, მწვრთნელმაც ევროპაში საქმიანობით, ცხადია, საგრძნობლად აიმაღლა თავისი დონე.

კონტრაქტის გასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა მწვრთნელ-პრეზიდენტმა დიდი მიზნები დაისახა:

— ბაკურიანში ციგაობის სპორტსკოლის გახსნას ვაპირებთ. ეს არც ისე იოლი საქმეა, ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადავდგით. წლეულს გაზაფხულზე 10-14 წლის რვა ბაკურიანელი ბიჭი შევკრიბე. მხარში ამომიდგა საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვასილ მიქაბერიძე — სტარტის საიმიტაციო ხის ბაქანი მოვაწყეთ და ბიჭებიც გორგოლაჭებიანი ციგებით შეუდგნენ ვარჯიშს. ცხადია, ძალიან გამოგვადგა საფრანგეთში ჩემი მუშაობისას შეძენილი უმაღლესი ხარისხის ჰოლანდიური ქრონომეტრული მოწყობილობა, რომელიც წამის მეათასედის სიზუსტით აღნუსხავს დროს. მაგრამ, რაც უნდა მოწადინებული იყო, პრიმიტიულ პირობებში მზადება, ბუნებრივია, ხეირს ვერ მოიტანს — სადღეისოდ ხომ აღარც ერთ დროს მსოფლიო დონის ბაკურიანული ტრასა არსებობს და არც უძვირესი ინვენტარის შეძენის საშუალება გვაქვს. მოწყალების ხელი უცხოელებმა გამოგვიწოდეს. ივლისში ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის მახლობლად, სანკტ-ვოლფგანგში გაიმართა ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის საიუბილეო 50-ე კონგრესი. სწორედ იქ გადაწყდა საქართველოში ციგაობის განვითარებისთვის გრძელვადიანი დახმარების საკითხი.

ქართველთათვის სასიკეთოდ საქმის მოგვარებაში მთავარი როლი ითამაშა ფელიქს ქუმარიტაშვილის პირადმა კონტაქტებმა, აგრეთვე ჩვენი მოციგავეების წინანდელმა მიღწევებმა. მსოფლიოს ფედერაცია თავის წევრ ყოველ ხელმოკლე ქვეყანას არ უწევს ასეთ მასშტაბურ სპონსორობას. საერთაშორისო ფედერაციამ ითავა ყოველწლიურად ორ-სამ შეკრება-შეჯიბრებაში ქართველ მოციგავეთა მონაწილეობის დაფინანსება. კონგრესიდან ჩვენი პრეზიდენტი სხვა მხრივაც დასაჩუქრებული დაბრუნდა — ევროპაში სამოგზაუროდ „ოპელის" ათადგილიანი მიკროავტობუსი გვაბოძეს, თან სამი ზამთარ-ზაფხულის ციგაც მოაყოლეს, თითოეული ათას დოლარად ღირებული.

ფედერაციამ დაპირებული მალე რეალობად აქცია და ბაკურიანელი მოციგავეები გერმანიაში ორკვირიან შეკრებაზე მიიწვია. ცვიკაუს საქვეყნოდ ცნობილ „რენროდელბანზე" ქართველი ჭაბუკების გამოჩენა ადგილობრივმა გაზეთმა „ცვიკაუერ ცაიტუნგმა" სასიამოვნო მოულოდნელობად აღიქვა — მოზარდებმა სავარჯიშოდ საქართველოდან 4500 კილომეტრი მანქანით გამოიარესო. ჟურნალისტებმა რატომღაც გამორჩეულად კურიოზულად ის ფაქტი მიიჩნიეს, რომ რვიდან ხუთ ქართველ მოციგავეს გიორგი ჰქვია.

მასპინძლებმა ჩვენებს მშვენიერი პირობები შეუქმნეს. ცვიკაუში ამ სახეობის ათამდე წამყვანი ქვეყნის სპორტსმენები იყვნენ შეკრებაზე, საქართველოს წარგზავნილებმაც სწორედ იქ ნახეს პირველად ნამდვილი საციგაო სპორტი, თუმც იქაც უთოვლოდ, პლასტიკურსაფარიან ტრეკზე მოუხდათ ვარჯიში. შეკრების დასასრულს ბაკურიანელებმა ამხანაგურ საერთაშორისო შეჯიბრშიც მოსინჯეს ძალა. გიორგი კილაძე 15 მონაწილეს შორის მეოთხე ადგილზე გავიდა, მეექვსე იყო ნოდარ ქუმარიტაშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი ჩუბკომ მეორე დაშვებისას მეორე შედეგი აჩვენა, მაგრამ უხეირო პირველი ცდის გამო საბოლოოდ მეცხრე ადგილი დაიკავა. ჩვენებურთა ვარჯიშებს აკვირდებოდა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი, რომელიც თითქმის ყოველდღიურად აბარებდა ანგარიშს თავის შეფებს, თუ როგორ საქმიანობენ ქართველი მწვრთნელი და მისი შეგირდები. ისიცაა სათქმელი, რომ ერთ-ერთმა წამყვანმა გერმანელმა მწვრთნელმა, წლების მანძილზე ცვიკაუს მერმა კარლ ზენკერმა ჩვენი ბიჭების ვარჯიშის ნახვის შემდეგ განაცხადა, ქართველი მოციგავეების სახით ძლიერი მეტოქე შეგვემატაო.



ფელიქს ქუმარიტაშვილის და მისი ბიჭების ეს ფოტო „ცვიკაუერ ცაიტუნგში" დაიბეჭდა

ქუმარიტაშვილის აღსაზრდელებს ნოემბრის ბოლოს კიდევ ერთი შეკრება ელით, ამჯერად ავსტრიაში, ზამთარში კი ბაკურიანში ივარჯიშებენ სათხილამურო ტრასებზე. მაისში ისევ ესტუმრებიან ცვიკაუს გორგალაჭებიანი ციგებით ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

ბატონ ფელიქსს ეიმედება, რომ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობაც დაეხმარება და ზამთარში ერთი შეკრების დაფინანსება მოხერხდება. 45 წლის პრეზიდენტი შორეულ მომავალსაც იმედიანად უყურებს:

— სასიხარულოა, რომ ბევრ ბაკურიანელ ახალგაზრდას გაუჩნდა ციგაობის სურვილი. რამდენიმე გოგონასაც უნდა ვარჯიშის დაწყება. ეს მშვენიერი სამომავლო ნიშანია. თუმც ფედერაციის უმთავრესი ამოცანა ჯერჯერობით ისაა, რომ უკვე წვრთნადაწყებული ბიჭებიდან ერთი-ორმა 2006 წლის ტურინის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვოს. მერე კი უფრო დიდ მიზნებს შევეჭიდებით.

**გია ახალაძე**



რეგულარული ჩემპიონატი

# მოულოდნელი საშინელება პინგვინების ხორცი რკინის კბილებში

6 ნოემბერი

**ფლორიდა 4:3 პიტსბურგი 1:1 2:1 0:1 1:0**
**0:1 ტარნსტრიომი (7), 1:1 კოზლოვი (19), 1:2 დუპუი (33), 2:2 იოკინენი (35), 3:2 ბუჭელიუსი (38), 3:3 ლემიე (60), 4:3 ვბურუ (63)**

„ამ თამაშისთვის საგანგებო გეგმა შევიმუშავეთ და განვახორციელეთ კიდეც. ძირითად დროშივე ვიმსახურებდით გამარჯვებას, მაგრამ მარიომ შეგვიშალა ხელი. ბოლოს მაინც ჩვენი გავიტანეთ" — კმაყოფილი იყო ფლორიდელთა თავკაცი მაიკ კინენი, რაც ერთობ იშვიათად ხდება. ეხუმრებით, ფლორიდამ თვით მარიო ლემიეს პიტსბურგი შეაჩერა, გუნდი, რომელმაც აქამდე ზედიზედ ოთხჯერ მოიგო. კინენის გეგმა კი მარტივი, მაგრამ გენიალური აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ლემიეს სამეულის წინააღმდეგ მან საგანგებო რგოლი გამოიყენა, რომელშიც ერთბაშად ორი ცენტრფორვარდი გაამწესა — ოლი იოკინენი და ვიქტორ კოზლოვი. მათ თითო-თითო გოლი სწორედ იმ მომენტში გაიტანეს, როცა ლემიე და კომპანია იმყოფებოდა ყინულზე. მეორე ფაქტორი კორექტული თამაში გახლდათ. სხვა მეტოქეებმა თავიანთ თავზე გამოსცადეს, რა საბედისწეროა ლემიეს გუნდთან დაჯარიმება. „პანტერებმაც" 65 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ (!) დაარღვიეს წესი. და მაინც, ლემიემ შეძლო გოლის გატანა — ძირითადი დრო იწურებოდა, როცა კართან ზედახორა შეიქმნა და მან როგორღაც მოახერხა დარტყმა. თუმც ოვერტაიმში თავად „პინგვინებს" ძვირად დაუჯდათ წესების დარღვევა. რიცხვმრავლობა ვალერი ბურემ გამოიყენა, რომელიც კინენის მკაცრი კრიტიკის შემდეგ გააქტიურდა და ზედიზედ მესამე მატჩში გამოირჩა. ყოველივე ამის შემდეგ „რკინის მაიკს" უკმაყოფილების არანაირი საბაბი აღარ ჰქონდა.

**დალასი 4:0 ვანკუვერი 3:0 1:0 0:0**
**1:0 მოდანო (2), 2:0 მოროუ (6), 3:0 დალინი (11), 4:0 მოდანო (40)**

მეკარე მარტი ტურკოს დამაჯერებელი თამაში და მაიკ მოდანოს (2 გოლი და 1 პასი) თავგამოდება ვანკუვერს ძვირად დაუჯდა — აქამდე კანადურ კლუბს სტუმრად არ წაეგო. სულ 5 ქულაც და მოდანო 1000-ქულიან ზღვარს მიაღწევს.

**კოლორადო 2:5 ოტავა 0:1 2:3 0:1**
**0:1 ჰოსა (3), 1:1 ნედოროსტი (22), 1:2 არვედსონი (27), 1:3 ალფრედსონი (34), 2:3 ვრბატა (39), 2:4 ჰოსა (40), 2:5 ჰოსა (59)**

„დღეს ერთი შეცდომაც არ გვაპატიეს, ყველა საბედისწერო აღმოჩნდა" — ჩიოდა მატჩის შემდეგ კოლორადოს კაპიტანი ჯო საკიკი. ამჯერად მანაც ვერაფერი უშველა თავის გუნდს, რომელიც შინ კვლავ დამარცხდა (5 მატჩში მხოლოდ 2 ფრე). ოტავამ კი ლიგაში მე-800 თამაში დამაჯერებელი მოგებით აღნიშნა. თან სლოვაკმა მარიან ჰოსამ კარიერაში მე-2 ჰეთ თრიქი შეასრულა. გუნდის კაპიტან დანიელ ალფრედსონს (გოლი და 2 პასი) 10 თამაშში ერთხელაც არ დაუტოვებია ყინული უგოლოდ.

**ანაჰაიმი 2:1 ნეშვილი 0:0 1:1 1:0**
**1:0 კარია (33), 1:1 დელმორი (39), 2:1 სიკორა (45)**

ნეშვილის უიღბლობას ბოლო არ უჩანს. „მტაცებლებმა" კვლავ მინიმალური სხვაობით წააგეს. მათ უკვე 10-ჯერ დათმეს თამაში და 9-ჯერ სწორედ ასეთი ანგარიშით. დღეს ორი მშიერი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს და ერთ-ერთს უნდა წაეგოო, ამბობდა მატჩის შემდეგ ანაჰაიმის გულმოცემული თავკაცი მაიკ ბაბკოკი.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ფოტომატიანე

დალასელ მაიკ მოდანოს გოლი ვანკუვერელი მეკარის დენ კლუტიეს კარში

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 12 | 9 | 2 | 0 | 1 | 44:23 | 20 |
| პიტსბურგი | 12 | 7 | 2 | 1 | 2 | 43:37 | 17 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 7 | 0 | 0 | 3 | 26:17 | 14 |
| რეინჯერსი | 15 | 5 | 2 | 0 | 8 | 37:49 | 12 |
| აილენდერსი | 12 | 3 | 1 | 0 | 8 | 29:47 | 7 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 11 | 7 | 2 | 0 | 2 | 37:29 | 16 |
| მონრეალი | 12 | 4 | 4 | 0 | 4 | 33:40 | 12 |
| ოტავა | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 26:22 | 11 |
| ტორონტო | 13 | 4 | 2 | 0 | 7 | 41:42 | 10 |
| ბუფალო | 12 | 3 | 3 | 0 | 6 | 26:28 | 9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 13 | 7 | 2 | 0 | 4 | 47:36 | 16 |
| კაროლინა | 13 | 5 | 2 | 2 | 4 | 29:32 | 14 |
| ვაშინგტონი | 13 | 6 | 1 | 0 | 6 | 29:36 | 13 |
| ფლორიდა | 13 | 5 | 1 | 1 | 6 | 31:43 | 12 |
| ატლანტა | 11 | 1 | 1 | 1 | 8 | 30:43 | 4 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 11 | 9 | 1 | 0 | 1 | 46:20 | 19 |
| დეტროიტი | 13 | 6 | 2 | 0 | 5 | 42:35 | 14 |
| ჩიკაგო | 12 | 6 | 1 | 0 | 5 | 27:28 | 13 |
| კოლუმბუსი | 12 | 5 | 1 | 1 | 5 | 34:35 | 12 |
| ნეშვილი | 12 | 1 | 1 | 4 | 6 | 25:39 | 7 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 13 | 9 | 2 | 0 | 2 | 45:28 | 20 |
| კალგარი | 13 | 5 | 3 | 2 | 3 | 38:38 | 15 |
| ვანკუვერი | 14 | 5 | 4 | 0 | 5 | 35:38 | 14 |
| კოლორადო | 13 | 4 | 4 | 2 | 3 | 35:33 | 14 |
| ედმონტონი | 12 | 3 | 3 | 1 | 5 | 29:34 | 10 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 44:32 | 18 |
| ლოს ანჯელესი | 13 | 6 | 2 | 1 | 4 | 39:38 | 15 |
| სან ხოსე | 12 | 5 | 0 | 1 | 6 | 34:40 | 11 |
| ფინიქსი | 13 | 5 | 0 | 1 | 7 | 28:42 | 11 |
| ანაჰაიმი | 13 | 4 | 3 | 0 | 6 | 33:38 | 11 |

**ბომბარდირები:** ლემიე (პიტსბურგი) 29(8+21); სენტ ლუისი (ტამპა) 20(9+11); გაბორიკი (მინესოტა) და კოვალიოვი (პიტსბურგი) 19(10+9); მოგილნი (ტორონტო) 19(8+11); მოდანო (დალასი) 18(8+10); მოროზოვი (პიტსბურგი) 17(7+10); უეიტი (სენტ ლუისი) 17(5+12); საკიკი (კოლორადო) 16(9+7); დრური (კალგარი) 16(6+10); რუჩინი (ანაჰაიმი) 16(4+12); იოკინენი (ფლორიდა), სუნდინი (ტორონტო) და ბერტუცი (ვანკუვერი) 15(6+9); ფორსბერგი (კოლორადო) 15(5+10)

# მორიგი წევრი

სტაიერ ქალს, ბრიტ პაოლა რადკლიფს დედოფალ ელისაბედ მეორისგან საქვეყნო ჯილდო, ბრიტანეთის იმპერიის წევრის ორდენი მიუღია. ცერემონიალი ბუკინგემის სასახლის წინ გამართულა და თანამეგობრობის და ევროპის ჩემპიონს, ლონდონისა და ჩიკაგოს მარათონების რეკორდსმენ ქალს დიახაც, დაუმსახურებია ეს ჯილდო.


REUTERS ლონდონიდან


REUTERS ბანგკოკიდან

# ბუდისტი

ტაილანდელი ჩოგბურთის ვარსკვლავი პარადორნ შრიჩაფანი საკუთარ ფოტოზე ტოვებს ავტოგრაფს ბანგკოკის ერთ-ერთ გამოფენაზე. „ბუდისტ ბომბდამშენად" წოდებული პარადორნის ალზევებას რეიტინგის 120-დან მე-16 ადგილამდე, ბევრი სწორედ მის მორწმუნე ბუდისტობას და სულიერი სიმშვიდეს მიაწერს.

# ტრანსატლანტიკური

შაბათს ორმოცდაერთი ნავი ჩაებმება საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟულ ტრანსატლანტიკურ ნაოსნობაში, რომელსაც „რუტ დუ რომ" ჰქვია. ეს ქალბატონი კი ინგლისური ეკიპაჟის შკიპერი მირანდა მერონი გახლავთ, რომელიც უკანასკნელ სამზადისს მისცემია სენ მელოს ნავსადგურში, საიდანაც ნავები გვადალუპისკენ უნდა დაიძრან.


REUTERS სენ მალოდან

# ერიკამ იტირა

ოჰ, სიეტლში დედათა ფეხბურთია გახურებული. საფეკოს მინდორზე ამერიკის ოქროს თასი თამაშდება და ნახევარფინალშიც დიდად ხმაურიანი თამაში გამოვიდა. მასპინძელმა ამერიკელებმა ხისტი ფეხბურთი შესთავაზეს ტექნიკურ კოსტარიკელ გოგონებს და 7-0 მოუგეს. ანგარიშის მიუხედავად, თამაში საბრძოლო იყო. ამერიკელი ჯოი ფოუსეტი (14) თითქოს საგანგებოდ ნადირობდა კოსტარიკელთა კაპიტან ერიკა კასტროზე, რომელიც ბოლოს საკაცით გაიტანეს მინდვრიდან. ერიკამ თამაშის შემდეგაც ბევრი იტირა, ისე, რომ მწვრთნელმა რიკარდო როდრიგესმა ძლივს დააწყნარა.




REUTERS სიეტლიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვატა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge